# ახალგაზრდა ივერიელი

ერთობლივი ნომერი

საქართველოს რესპუბლიკა №224 (2597)

№16 (11072) 8 – 14 სექტემბერი 1997 წელი ფასი 40 თეთრი (თბილისის გარეთ 45 თეთრი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ДѢЛО

СУДЕБНАГО СЛѢДОВАТЕЛЯ

ПО НАИБОЛѢЕ ВАЖНЫМЪ ДѢЛАМЪ

ОКРУГА

Тифлисскаго Окружнаго Суда.

ალექსანდრე შუშანაშვილი:

## „მოსალოდნელია, ილიას მკვლელობის საქმე საერთოდ დაიკარგოს"...

იხილეთ

## ილია და ჩვენ

გვ. 6

## კვირის სუპერფრაზები

### ორშაბათიდან ორშაბათამდე

„ქუჩაში ნებისმიერ გამვლელს ვკითხოთ, დღეს რა ღირს გადავადება ან არმიისგან თავის დახსნა. ეს მორალურია? მე გთხოვთ, რომ ის ფული ბაცაცა კომისრების ჯიბეში კი არ წავიდეს, მშიერ ჯარისკაცებს მოხმარდეს. სტუდენტის მიერ ბეგარის გადახდა იმას არ ნიშნავს, რომ იგი ჯარში არ წავა. იგი იმსახურებს, ოღონდ მოგვიანებით.

**რევაზ ადამია,**
საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

„ჩვენი ოფისი აფხაზეთი კი არ არის, რომელსაც მიტინგებითა და დემონსტრაციებით ვერ დაიბრუნებ".

**ირინა სარიშვილი.**
ედპ-ს ლიდერი, პარლამენტარი.

„მასხადოვის ჩამოსვლა ძალიან დიდი ბუნდოვანებით არის მოცული და რას რის ფასად გვთავაზობენ, რის და ვის წინააღმდეგ, კაცმა არ იცის, თანაც ამის სანაცვლოდ არაფერს გვპირდებიან. ჩეჩნები მიიჩნევენ, რომ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა შეცდომა იყო. მაგრამ რადგანაც 57 ათასი შეიარაღებული კაციდან ყველას ვერ აკონტროლებენ, გარანტიას არ გვაძლევენ, რომ დაახლოებით 10 ათასი მებრძოლი მაინც არ მიიღებს მონაწილეობას აფხაზებთან საბრძოლო მოქმედების განახლების შემთხვევაში ჩვენს წინააღმდეგ".

**რუსლან მიქაბერიძე,**
მსახიობი, პოეტი.

„ბესარიონ გუგუშვილის ბოლოდროინდელმა ინტერვიუების სერიებმა დაგვარწმუნა ჩვენ, რომ გუგუშვილი არ არის მართალი კაცი და ის არ იქნება ობიექტური ადამიანი, რომ თქვას, თუ როგორ იქნა პრეზიდენტი გამსახურდია მოკლული".

**გიორგი კერვალიშვილი,**
ჭრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი.

იხილეთ

გვ. 7





## უხელ-ფეხოდ დამწვარი გვამის კვალდაკვალ



## კამპანიას გაუმარჯოს, მაგრამ...

გვ. 4

## ოღეს ტურფა გაიაფდეს...

ანუ მოვატყუეთ კი უცხოელი კაპიტალისტი?!

„ასე გაყიდეს ნელ-ნელა მთელი საქართველო კაპიკებში, თქვენ ამოიღეთ ხმა ახალგაზრდებმა, თორემ ჩვენნაირ ბებრებს ახლა ვინღა უსმენს"...







SOS

გვ. 5

ახალგაზრდა ივერიელი
გამოდის 1921 წლიდან.
დამფუძნებელია გაზეთის კოლექტივი.

დირექტორი
მერაბ ბალარჯიშვილი
რედაქტორი
გიგლა გობეჩია
რედაქტორის მოადგილე
რუსუდან ლებანიძე
პასუხისმგებელი მდივანი
ნუკრი ბერიძე

განყოფილებები:
საპოლიტიკო – დავით ცაგარეიშვილი, თამარ ოთიაშვილი, ნონა ბურნაძე.
ინფორმაციისა და სოციალური საკითხების – ნინო ლურსმანაშვილი, მარინე ლონაძე.
ეკონომიკის – ნატა სალუქვაძე.
კრიმინალის – ია მაჭავარიანი, მაია სალირაშვილი.
საზოგადოების – მაია თუნგია, ბრიგიტა შიუკაშვილი.
კულტურის – მიმოზა ქვირკვია.
მენეჯერი – ლალი ხმიადაშვილი
რეკლამა-განცხადებების – ჯულიეტა ონიანი.
ფოტო-ილუსტრაციის – ჯავარ ლომაძე.
კორექტორები – მანანა დაუშვილი, ლელა ბუცხრიკიძე

გაზეთი რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში
რეგისტრაციის № 20483868

გამომცემელი შპს „პრესა“

აიწყო და დაკაბადონდა „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესის“ კომპიუტერულ ცენტრში

დაიბეჭდა საგაზეთო კორპუსში

რედაქციის მისამართია:
თბილისი, 380096,
მ. კოსტავას ქ. №14
ტელ. 93-31-49; 93-31-48;
93-31-56; 99-00-49

გაზეთი არ გამოხატავს რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის თვალსაზრისს და მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

შესაძლოა გაზეთში გამოთქმული მოსაზრება არ დაემთხვეს რედაქციისას.

ავტორები თვითონ აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტებისა და ციტატების სიზუსტეზე.

კანონი

# თავშეკავებული კომენტარი თუ?...

საშემოდგომო სესიის პირველი საპარლამენტო კვირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – კანონპროექტი სამხედრო ვალდებულების შესახებ – საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო, კანონპროექტი თავდაცვის სამინისტრომ მოამზადა, რომლის ალტერნატიული ვარიანტიც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა წარმოადგინა. მთელი ამ ხნის საპარლამენტო მუშაობის მანძილზე ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ალტერნატიული მუხლები პარლამენტს განსახილველად თანამომხსენებელმა შესთავაზა. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გასაწვევი რესურსი თითქმის 20-ჯერ აღემატება გასაწვევთა რეალურ რაოდენობას. ეს საკითხი კანონმდებლობით მოწესრიგებული არ არის, რის გამოც კიდევ უფრო ფართო ასპარეზი ეძლევა კორუფციას. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს, აგრეთვე, პარლამენტართა უმრავლესობას პრობლემის გადაწყვეტის გზაზე სამხედრო ბეგარის შემოღება მიაჩნია მიზანშეწონილად, თავდაცვის სამინისტროს საპარლამენტო მდივნის გურამ ნიკოლეიშვილის აზრით კი, ბეგარის შემოღება საზოგადოებისა და ჯარის დემორალიზაციას გამოიწვევს.

საქართველოდან სხვადასხვა მიზეზით საზღვარგარეთ დაახლოებით 25 ათასამდე წვევამდელია გასული. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მათ დეზერტირებად გამოაცხადებენ. კანონი კი საშუალებას იძლევა, რომ, თუ ისინი გადაიხდიან 2500 ლარსა და გაივლიან ორთვიან სამხედრო მომზადებას, რეზერვში ჩაირიცხებიან, სახელმწიფოს კი ექნება გარკვეული შემოსავლები თავდაცვის მიზნებისათვის. კანონპროექტი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის საკითხსაც გადაწყვეტს, რომელიც, მოგეხსენებათ, საკმაოდ პრობლემურია. გათვალისწინებულია, რომ სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან გათავისუფლდნენ დედისერთები, აგრეთვე, ის პირები, რომელთაც ერთი შვილი ჰყავთ და ისინიც, რომლებიც ელოდებიან ბავშვის დაბადებას. სრულად მომუშავე მასწავლებელს და ექიმებს კი განსაკუთრებული რეჟიმის შექმნას ჰპირდებიან.

შეუწყობს თუ არა ხელს ბეგარის შემოღება კორუფციის აღმოფხვრასა და არმიის აღმშენებლობას, ეს ჯერ კიდევ საკითხავია, ყოველ შემთხვევაში დღევანდელ ეტაპზე მაინც. ჩვენ კი, აზრთა შეუთავსებლობის ფონზე, კანონპროექტთან დაკავშირებით, თუმცა ზოგადად, მაგრამ საკმაოდ საინტერესო შეხედულება დავაფიქსირეთ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ. აქვე გეტყვით, რომ ჩვენმა რესპონდენტმა საუბრის დასაწყისში კომენტარისაგან რატომღაც თავი შეიკავა, მაგრამ...

# დუმილი მაინც ვისწავლოთ



*გურამ შარაძე – (მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მოძიების კომიტეტის თავმჯდომარე)*

ჩემს თავს კანონპროექტის შესახებ ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენის უფლებას ვერ მივცემ, ზოგადად კი შემიძლია გითხრათ, რომ ეს საკითხი ერთ-ერთი უმტკივნეულესი პრობლემაა საქართველოსათვის, მით უმეტეს, დამარცხებული საქართველოსათვის... დიახ, დღეს საქართველო დამარცხებული ქვეყანაა, ...წაქცეული და დამარცხებული ქვეყანაა არა საიდანღაც შორიდან მოსული მტრისაგან, არამედ ჩვენივე ქვეყნის ნაწილისაგან, ჩვენივე ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისაგან... ჩვენ, ჩვენი ძალები, ჩვენი უფლებები და მოვალეობები უნდა ვიცოდეთ, თუ გვინდა, რომ დაგვაფასონ. თუ ადამიანმა იცის თავისი უფლებები და მოვალეობები, მტერი რომ მტერია, ისიც კი ღირსეულად დაგაფასებს... რუსეთს მაინც დავემარცხებინეთ, იმას მაინც ვიტყოდი, ჩვენზე ძლიერია და მოგვერია-მეთქი... ან ამერიკას, ინგლისს, თუნდაც საფრანგეთს... ვიცი, ახლა ამაზე მეტყვიან, ჩვენ აფხაზებმა კი არა რუსებმა დაგვამარცხესო... რატომ, იმ რუსებთან რატომ მიგვასწრეს აფხაზებმა, ოსებმა? რითი მოვლენ ისინი ჩვენთან, ცივილიზაციით, ისტორიით, დიპლომატიით, მწერლობით თუ ალფავიტით, რატომ გვაჯობეს? რატომ გამოიყენეს ჩვენს დასამარცხებლად ძლიერი ძალა? ჩვენ რატომ არ გვეყო იმდენი ჭკუა, რომ მათთვის დაგვესწრო, სანამ ამოქმედდებოდა უზარმაზარი ურჩხული, რასაც რუსეთის ძალა ჰქვია, როგორც სამხედრო, ისე მატერიალური და რიცხობრივი?... დამარცხებულ ქვეყანაში თავისი პრობლემა სწორედ სამხედრო ძლიერების საკითხია. მე ახლა, ფოთში, ბიუროს სხდომაზე ამასთან დაკავშირებით ვთქვი, რომ ჩვენ ხანდახან ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, მტერმა დაინახა, რომ ტრაბახა ხალხი ვართ, არადა ქართველი კაცი ყოველთვის დასცინოდა ტრაბახა ადამიანს... მკვეხარა მამალი ხომ გახსოვთ?... ჩვენ ათას რამეზე გავიძახით, რომ ამას გავაკეთებთ, იმას გავაკეთებთ, შედეგი კი... უკვე აღარავის არაფერი სჯერა.... დუმილს მაინც მივეჩვიოთ, გავჩუმდეთ მაინც... ავიღოთ, თუნდაც, ალიევის მაგალითი... ალიევი კრიტსაც აღარ სძრავს თავისი საქმიანობის შესახებ, ისე მუშაობს აზერბაიჯანის სამხედრო ძლიერებისათვის, ეროვნული არმიის შექმნისათვის... ერთი რუსი ჯარისკაცი არ არის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, არც სომეხი მოქალაქეები არიან... ჩვენ რუსები არ გაგვიყრია საქართველოდან, არც მონოეროვნული სახელმწიფო ვართ სომხეთის მსგავსად. სომხეთში არასომხური მოსახლეობა ერთი პროცენტიც კი არ არის, მაგრამ მათთვის არავის დაუბრალებია ანტიინტერნაციონალისტი ხარო, არც ის უთქვამთ გაეროში არ მიგიღებთო... მან შექმნა ერთიანი ეროვნული სახელმწიფო, მაგრამ სამხედრო ძლიერება არა აქვს, ადგა, შეეკრა რუსეთს და მოიგო ყარაბაღში ომი... რა ქნას ალიევმა, იყვიროს, როცა საკუთარი ჯარი ჯერ არ აქვს?... მისი დუმილი აშფოთებს სომხეთს, და დღედაღამ არ სძინავს...ჩვენ ერთ დღეს მშვიდობაზე ვლაპარაკობთ, მეორე დღეს ომს ვაპირებთ, მესამე დღეს ვამბობთ, გაეროს ჯარები მოვიწვიოთო, არავითარი პროგრამა ჩვენ არა გვაქვს და თუ ეს სამხედრო კანონი იმას დააკანონებს, რომ საქართველოში ეროვნული არმია, ჯარი შეიქმნება და კარგი ქართული გენერალიტეტი გვეყოლება, ამას რა სჯობია... ამას წინათ დახურულ სხდომაზე ერთ-ერთ გენერალს ვკითხე,... რის საფუძველზე ანიჭებთ-მეთქი გენერალობას, რომელი ომი მოიგეთ, სად გაიმარჯვეთ, ან რა სამხედრო ტექნიკური გამოგონებები გაქვთ, საერთოდ რა გააკეთეთ-მეთქი.... სამხედრო პირი არა ვარ, მაგრამ ისტორია ვიცი და არსად არ წამიკითხავს, რომ რომელიმე სახელმწიფოში დამარცხებისათვის გენერლობას ანიჭებდნენ... ჩვენთან ესეც ხდება... თქვენგან მიკვირს, ბატონო გურამ, ასეთი გულუბრყვილო შეკითხვაო – მიპასუხა – განა არ იცით, რომ ჩვენთან გენერლობა თანამდებობააო... როგორ მოგწონთ? ე.ი. რადგან გენერლის თანამდებობა არსებობს, დამარცხებულსაც შეიძლება მოგანიჭონ იგი...ასეთი ლოგიკა არსად არაა საქართველოს გარდა და არც ასეთი გენერლები მინახავს... ლაპარაკიც კი არ გინდა იმაზე, რაც ახლა საქართველოს თავდაცვის მინისტრის თავზე ხდება, თან სხვა კი არა ეროვნული, ქართული პრესა ებრძვის... რომელ არძინბას, რომელ ჩიბიროვს და მით უმეტეს, აღარ ელაპარაკობ, ელცინს შეეშინდება შენი და შენი არმიის, როცა შენსავე თაელდაცვის მინისტრს პარლამენტიდან დაწყებული ჟურნალისტებით დამთავრებული, მიწასთან ასწორებ... ხომ უნდა დამთავრდეს ეს ყველაფერი? ნადიბაიძე თუ არ ვარგა, როგორც თავდაცვის მინისტრი, კეთილი ინებოს პრეზიდენტმაც და პარლამენტმაც და გაათავისუფლოს ის კაცი... „წაქცეულ“ კაცზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ მინისტრებს რომ ამტკიცებდნენ, ერთი იაკობიძეს ვუთხარი, თქვენ არ გამოდგებით-მეთქი ფინანსთა მინისტრად და ატყდა ერთი უბედურება, გურამ შარაძის გამოსვლა დემაგოგიური იყო, იაკობიძისთანა ფინანსისტი სად არისო საქართველოში... შემდეგ, ორი წელი აწვალეს ეს კაცი და თავლაფდასხმული გაუშვეს ბოლოს სახლში, იგივე უთხრეს ორი წლის შემდეგ რაც მე პირველ დღესვე ვუთხარი... ასევე ვუთხარი ნადიბაიძესაც, ბატონო ვარდიკო, თავი დავანებოთ თქვენ ქართული იცით თუ რუსული, მე თქვენი არც ქართული მესმის, რაც ყველაზე სამწუხაროა და არც რუსული-მეთქი... ამით პრაქტიკულად იმას ვეუბნებოდი, თქვენ არ გამოდგებით-მეთქი სამხედრო მინისტრად... ვარდიკო კიდევ უფრო ახერხებს ქართულად ჩიქორთულ ლაპარაკს, გიორგი ჩუბინაშვილი სულ ვერ ლაპარაკობდა ქართულად, მაგრამ მან რომ გააკეთა ქართული კულტურისა და ხელოვნებისათვის, ნეტავ ის გააკეთოს თუნდაც 1000-მა ქართველმა, ქართულად რომ „ჭიკჭიკებს“ და მეტი არ გვინდა....

დავანებოთ ამ ნადიბაიძეს თავი, თუ უვარგისია, ვთქვათ და გავათავისუფლოთ, თუ ვარგა, ისიც ვთქვათ და დავტოვოთ, თორემ გვეჭრება თავი... ხუთასი და კიდევ მეტი სამხედრო კანონი და ბეგარა რომ შეიმოიტანოს. რეზო ადამიამ, საქართველოს მანამ არ ეშველება, სანამ ქართული გენერალიტეტის ღირსეული მენტალიტეტი არ შეიქმნება...

თავიდან ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვერიდებოდი კომენტარს, მაგრამ მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ მე კანონებს ასო-ასო არ ვსწავლობ. კანონებს სწავლობენ ისინი, ვისაც მათი დარღვევა სურთ რომ იცოდნენ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ყველა იურისტი კანონს ჩემზე კარგად იმიტომ ფლობს, რომ იცის, როგორ დაარღვიოს იგი ისე, რომ ვერ გაუგონ, მე კი ამის სურვილი არასოდეს არ მქონია. ამ შემთხვევაშიც, როცა საუბარია კანონზე სამხედრო ვალდებულების შესახებ, ვერავის შევეჯიბრები, მაგრამ ვიტყვი, რომ მარტო კანონის შემოქმედება არ ნიშნავს საქართველოში სამხედრო ძლიერებაზე ზრუნვას...

**თამარ ოთიაშვილი**

რეპლიკა

# ვის განკარგულებაშია დღეს აფხაზეთის რკინიგზა(?!)

*კითხვის ნიშნების გაუგებრობის თუ მითქმა-მოთქმის ალყაში მომწყვდეული აფხაზეთის რკინიგზა, მესაკუთრის დადგენის უცნაურმა პროცესმა ყურადღების ცენტრში თავისდაუნებურად აღმოაჩინა არაერთი კატეგორიული განაცხადი, რომლებიც აფხაზეთის რკინიგზის ვითომ მეკეთების მიზნით ბალანსიდან ბალანსზე რუსეთისათვის გადაცემის ფაქტზე მეტყველებდნენ, არაერთხელ უარყვეს, თუმცა არაერთხელვე დაბეჯითებით გაიმეორეს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის საყრდენი იურიდიულად გაფორმებული დოკუმენტები იყო და არა პროვოკაციული ჭორები.*

– ეს საკმაოდ ცნობილი ფაქტია, თუმცა დღეს მისი საგანგებოდ დამალვა განუზრახავთ. არსებობს დოკუმენტაციაც, რომელიც აკაკი ჩხაიძესთან ინახებაო ამბობდნენ აფხაზეთის რკინიგზის დაკარგვის შიშით შეპყრობილნი.

*საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, აკაკი ჩხაიძემ კი კატეგორიულად უარყო ფაქტი, აფხაზეთის რკინიგზის რუსეთისათვის გადაცემის თაობაზე და აღნიშნა:*

აფხაზეთის რკინიგზა სამტრედიის რკინიგზის სამმართველოდან იმართებოდა. არსებულ მონაკვეთზე სადგურებში ისრების გადაყვანაც სამტრედიის სადისპეჩერო აპარატიდან ხდებოდა. ვინაიდან ომმა სადისპეტჩერო მართვა დააზიანა, ვინაიდან იმ მომენტში სადგურის მორიგეები, მემანქანეები, ლიანდაგის და კავშირგაბმულობის მუშაკები ადგილზე არ იყვნენ, გადაწყდა – აფხაზეთის რკინიგზის მართვა დროებით ტუაფსეს რკინიგზის სამმართველოდან, ე.ი. რუსეთიდან მომხდარიყო.

კატეგორიულად ვაცხადებ – ხელშეკრულებაში, რომელიც 1995 წლის 15 სექტემბერს გაფორმდა რუსეთის წარმომადგენლის, ბალშაკოვისა და საქართველოს ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფაცაციას ხელმოწერით, ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის თაობაზე სიტყვაც კი არ არის ნათქვამი, თუმცა აღნიშნული ოქმი დღეისათვის ძალადაკარგულია. გარწმუნებთ, აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების პარალელურად რკინიგზაც ამოქმედდება.

* * *

*ალბათ,ამოქმედდება, მაგრამ ვინ იცის, გუშინდელი დროებითი გადაწყვეტილება ნამდვილად დროებითი აღმოჩნდება თუ არა. როდის იყო, რომ რუსეთი ნაჩუქარს, ნასესხებს, ან, თუნდაც, დროებით გადაცემულს უკან აბრუნებდა? ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ არასდროს. თუმცა, გამონაკლისი შემთხვევებიც ხომ არსებობს. ცხადია, არსებობს. მაგრამ ზემოაღნიშნულ „შემთხვევას“ გამონაკლისთა რიცხვში აღმოჩენის ყველაზე ნაკლები მანსი აქვს.*

**ნონა ბურნაძე**

მულამ გაწონასწორებული, თუმცა ბალანსირების ფუნქციის წყალობით, ზოგჯერ და ზოგის თვალში მერყევ და გაუწონასწორებელ პოლიტიკოსად კი აღქმული, გუშინ პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალური, დღეს კი რატომღაც თამაშგარეთ დარჩენილი, თუმც მუდმივ ყურადღების ცენტრში არსებული ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე თვლის, რომ ბიზნესი, რომელმაც ზომაზე მეტადაც კი მოიკიდა ფეხი საქართველოში, ყველაზე აქტიური და თანაც სახტიკო სიმპტომებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისას გამოვლინდა. უფრო მეტიც. დღეს ყველაზე მომგებიანი ბიზნესი საქართველოს კეთილდღეობის გაყიდვაო – განაცხადა ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარემ და ამ „ბიზნესის" ხელისშემშლელი პროგრამის ჩამოყალიბება და რეალიზება ქარტია 91-თან და კოეშირის თავმჯდომარის აზრით, იმ სხვადასხვა წვრილი თუ მსხვილი ასპექტებისა თუ ნიუანსების მოშლით იქნა მიღწეული. რომელთა შორისაც ერთ-ერთი რიგითი ადგილი, თურმე, თვითმმართველობის ორგანოს არჩევნებთან დაკავშირებულმა პრობლემამაც დაიკავა.

ბატონმა ასათიანმა ამ რამდენიმე თვის წინათ შოთა კვირაიასა და უშიშროების სამინისტროს გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ზემოაღნიშნული დიდი „ბიზნესის" გამაგრების მიზნით გადადგმული მორიგი მიზანმიმართული ნაბიჯი უწოდა.

– შოთა კვირაია მართალია, არც ისე დიდი ბელენაა, მაგრამ ისიც ხომ აშკარაა – მის წინააღმდეგ მიმართული კამპანია მიზანმიმართული რომ იყო, და არა შემთხვევითი. ვანა შეიძლება უშიშროების სისტემის მოშლა, ძალოვანი სტრუქტურების დღენიადაგ დაბომბვა მაშინ, როცა ქვეყანას საფრთხე ემუქრება? –

# დღეს ყველაზე მომგებიანი ბიზნესი... საქართველოს კეთილდღეობის გაყიდვაა

ნსერვატიულ პარტიასთან ერთად იგეირთა.

ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარის არატრადიციული განწყობის მიზეზი ერთმანეთთან გადახლართული, მისი აზრით, ძალით შეკოწიწებული და ხელოვნურად აფეთქებადსაშიშ ზონაში მოქცეული პრობლემების საეჭვო თავმეყრა აღმოჩნდა, რომელმაც საბოლოო ჯამში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევასა და იმ ელემენტარული კეთილდღეობის უარყოფამდე მიგვიყვანა, რომლის მიღწევაც, თურმე, სულ უბრალოდაც კი ყოფილა შესაძლებელი.

საქართველოს ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეუძლია პორტუგალიის დონეზე მაინც იცხოვროს. ის, ვინც ამას შეუძლებლად თვლის და ხელთ ხელისუფლების ბერკეტები უპყრია, კატასტროფის მეტს სხვას რას შეიძლება უქადდეს ქვეყანას? – ორაზროვნად სვამს კითხვას პოლიტიკოსი, თუმცა საკმაოდ მკაფიოდ და ცალსახად აცხადებს – ჩვენი მიზანია არსებული ხელისუფლების შეცვლა. ხელისუფლებისა, რომლესაც ქვეყნის წინსვლის არათუ საშუალება, იმედიც არ შერჩენია. რომელიც, თურმე, 2002 წლამდე ინერტულ ცხოვრებას აპირებს. 2002 წლის შემდეგ კი...

– თუმცა მანამდე ხომ მთელი ხუთი წელია. აკაკი ასათიანის ახლად გამომცხვარი კოალიცია კი, რომელსაც ეროვნული საკოორდინაციო კომიტეტი ჰქვია და მისი თავმჯდომარის აზრით,



მხოლოდ კოალიციისთვის არსებულ ერთ მორიგ კოალიციას კი არა, სერიოზული ძალების კონსოლიდაციის ობიექტს წარმოადგენს, მიზნად კონსტიტუციის რეალურ ამოქმედებას ისახავს. და არა მარტო ამოქმედებას. რეფერენდუმი, რომლის ჩატარებასაც უკვე ნაცნობი პოლიტიკური სამეული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე დაჟინებით მოითხოვს შეკითხვით – თანახმა ხართ თუ არა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ყველა დონის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი იყოს არჩეული? – სხვა დანარჩენთან ერთად ადამიანებში იმ შეგნების ჩამოყალიბებასაც ისახავს მიზნად, რომ ქვეყნის ბედის გადაწყვეტა არა მხოლოდ პრეზიდენტს, პარლამენტს ან რომელიმე პარტიას შეუძლია, არამედ მის მოქალაქეებსაც. თუმცა, ეს მხოლოდ გეგმებისა თუ სავარაუდო ნაბიჯების შესახებ. რეალურ ნაბიჯებამდე კი...

რეფერენდუმის ჩატარების მიზანშეუწონლობის მომხრეთა შორის აღმოჩენილმა თელო ნინიძემ, რომელმაც წინააღმდეგობის მიზეზად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის არარსებობა დაასახელა, აკაკი ასათიანის „გაუწონასწორებელი" პასუხი თუ კონტრშეკითხვა დაიმსახურა – მან თავის პრეზიდენტს ჰკითხოს: რატომ არ არის ტერიტორიული მთლიანობა აღდგენილი?

დიახ. საკითხი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე საუბრით დაიწყო, სრულიად ბუნებრივად, მოულოდნელად თუ თავისდაუნებურად ტერიტორიული მთლიანობის არსებობა-არარსებობის პრობლემამდე მივიდა და ბატონ აკაკი ასათიანის თქმით, სრულიად ლოგიკურადაც.

ტერიტორიული მთლიანობა, რომლის დანაწევრების პოლიტიკაც, ტრადიციონალისტთა კაცხადებს აკაკი ასათიანი და არანაკლები დამაჯერებლობით განაგრძობს – ილუზიები პროდასავლური კურსის ჩამოყალიბების შესახებ, გაქრა. ქვეყანა ისევ რუსეთს ჩაბარდა.

მუდამ გაწონასწორებული პოლიტიკოსის უკიდურესი განაცხადის მიზეზთა შორის არც თუ ისე შორეულ წარსულში არძინბას მოულოდნელი სტუმრობაც შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც, ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარის აზრით, იყო არა უშუალო დიალოგის დასაწყისი, არამედ რუსეთისათვის აფხაზეთის იურიდიულად გადაცემის (და არა დაკარგვის ან უნებლიე გაშვების) მორიგი შედეგიანი ეტაპი.

– ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ერთ მშვენიერ დღეს, საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ყველას უხრის ქედს, ცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ჩვენ, რომლებიც განვია თმის დროსაც კი უშუალო მოლაპარაკებების მომხრენი ვიყავით, ამას არ დავუშვებთ – აცხადებს აკაკი ასათიანი. თუმცა, ვინ იცის, იმ დიდ სპექტაკლში, რუსეთის მიერ ჭკვიანურად დადგმულში, რომლის შედეგიც ალბათ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაშლა და დასავლეთის ორიენტაციიდან დროებით გამოყვანა იქნება, ვინ შეგნებულად მონაწილეობს და ვინ შეუგნებლად. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოთ, ამ შეგნებულ „გაუგებრობაში" შევარდნაძეს, თურმე, მეტად უსუსური, დაბნეული კაცის როლი აქვს და მეტი არაფერი. უორიენტირო პოლიტიკის შედეგი ხომ კატასტროფაა – ამბობს ასათიანი, რომელიც ქართულ-აფხაზური დიალოგის დასაწყისს არ ივიწყებს და დანანებით აღნიშნავს – არც ერთი იყო აფხაზი და არც მეორე ქართველი, ორივე ბელკრული რუსეთის შვილები იყვნენო.

*რა გაეწყობა. ამ მსხვერპლს, თურმე, მომგებიანი „ბიზნესი" თუ დიდი პოლიტიკა მოითხოვს.*

**ნონა ბურნაძე**

ინფორმაცია

# აფხაზურმა მხარემ ქართველი მძევლები გაათავისუფლა

ოთხშაბათს, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში შედგა ყოველკვირეული ოთხმხრივი შეხვედრა. საქართველოს უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილის, აფხაზეთში უგზოუკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის ავთანდილ იოსელიანის ცნობით, შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმებით, ბაბუშერის სასაფლაოდან ქართველთა გვამების გადმოსვენება დაიწყება 10-12 სექტემბრიდან, როგორც კი აფხაზური მხარე გაარკვევს ჩვენი კომისიის მიერ მოპოვებული ორი აფხაზური საფლავის პატრონის ვინაობას.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო მძევალთა საკითხსაც. აფხაზურმა მხარემ ქართველი პარტიზანები დაადანაშაულა ვინმე ბაგანელიასა და ფაჩულიას მძევლად აყვანაში. თითქოს 30 ივნისს დახვრეტილი თანამებრძოლთა გვამების გადმოცვლის სანაცვლოდ ავთანდილ იოსელიანის თქმით, (თუმცა ჩვენს კომისიას არ ეხება), მაინც აღვუთქვით აფხაზურ მხარეს დახმარება ამ საკითხში. ჩვენივე ძალისხმევით დღეს აფხაზები ქართველ მძევლებს შამათავასა და კაკულიას გაათავისუფლებენ.

შეხვედრები გრძელდება.

**ბრიგიტა შიუკაშვილი**

საკითხი განსჯისათვის

# „მეცადინე მეცნიერები" და მათი კოქტეილ-უნივერსიტეტები

## ანუ კიდევ ერთი მოსაზრება უმაღლესი სკოლის რეორგანიზების თაობაზე

ამთავითვე ვიტყვით – მიგვაჩნია, რომ უმაღლესი განათლების პროცესი ეტაპებად უნდა იყოფოდეს, ამასთან სტუდენტს უნდა მიეცეს საშუალება, საგნების ამა თუ იმ ბლოკის (მოდელის) შესასწავლად სურვილისამებრ აირჩის როგორც უმაღლესი სასწავლებელი, ასევე შესაბამისი ქვედანაყოფი.

საგნების მოდელებად დაყოფა ცალკე საუბრის თემა გახლავთ. მაგრამ, პირველი მიახლოებით, იგი შემდეგი სიის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. მომზადება მეცნიერების მოცემული სფეროს ფუნდამენტურ დისციპლინებში; 2. ზოგად-სპეციალური მომზადება; 3. სპეციალიზება არჩეული მიმართულებით; 4. კულტურის საერთო დონის ამამაღლებელი საგნების ბლოკი; 5. მომიჯნავე სპეციალობები (მე-2 და მე-3 პუნქტებში ნაგულისხმევი საგნების საკვანძო საკითხები).

შევეცდებით, დავასაბუთოთ ეს მოსაზრება.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა რესპუბლიკაში განათლების საქმე, ასე თუ ისე, ნორმალურ დონეზე იდგა, შეიძლებოდა, შეხვედროდით ეკონომისტს, რომელმაც არ იცოდა არითმეტიკა, ინჟინერს, რომელსაც დამოუკიდებლად არც ერთი საგანი არ ჰქონდა ჩაბარებული, სრულიად უვიც ექიმს... (მკითხველებს, ალბათ, არ გაუჭირდებათ არანაკლებ „ეფექტური" მაგალითებით ამ ჩამონათვალის „გამდიდრება"). და დღეს, როცა ქვეყანა ფაქტიურად ველარაფრით ეხმარება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს, როცა ძალზე მოძველდა და გაღარიბდა ლაბორატორიული ბაზები, მიზერული გახდა პროფესიონალ-მასწავლებელთა ხელფასი, მდგომარეობა, ბუნებრივია, უკეთესი ვერ გახდებოდა.

ობიექტურები თუ ვიქნებით, ჯერჯერობით იმედი ვერ გაამართლა კომერციული სასწავლებლების დიდმა ნაწილმაც. საზღვარგარეთული პრაქტიკისაგან განსხვავებით, ამ ტიპის სასწავლებლებს ჩვენში არც სახელმწიფო ეხმარება და არც მდიდარი სპონსორები. შემდეგ, ბევრი მათგანი ცარიელ ადგილზე შეიქმნა. ამასთან, არცთუ იშვიათად მათ დამაარსებლებად მოგვევლინენ „მეცადინე მეცნიერები", რომელთაც ელვის სისწრაფით გამოაცხვეს მყვირალა სახელის (ე.ი. „ფულისმომტანი") და ხშირად სრულიად განსხვავებული სპეციალობების შემსწავლელი (?) კოქტეილ-უნივესიტეტები.

ორივე სტატუსის უმაღლეს სკოლას კიდევ ერთი არსებითი ნაკლი ახასიათებს – მომხმარებელი (დიახ, აქ სტუდენტი მომხმარებელია!) ვერ ირჩევს საგანს, სასწავლო გეგმის ვარიანტს, მასწავლებელს, დიპლომის ხელმძღვანელს. არ არსებობს კონკრეტული სტუდენტის წარმატებებით მასწავლებლის დაინტერესების მექანიზმი.

სტუდენტობა კი მაინც „სწავლობს" (ცოტა თუ სწავლობენ ნამდვილად), ნაწილი – იმ მიზნით, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურს აარიდოს თავი, ნაწილი – დიპლომის მისაღებად (ჩვენში ხომ ეს დოკუმენტი თითქმის პასპორტზე უფრო აუცილებელია ქორწინებისას!).

ცხადია, განათლების სფეროში არსებული მდგომარეობა უცებ ვერ გამოსწორდება, მაგრამ სასურველია სასიკეთო ტენდენციების გამოვლენა-გამოკვეთა და, რამდენადაც შესაძლებელია, მათთვის ხელის შეწყობა.

ჯერ ერთი, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში მართლაც არიან შესანიშნავი პედაგოგები, მეცნიერები, რომელთაც ძალუძთ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოაყალიბონ სტუდენტი და რაც არანაკლებ მისასალმებელია, არსებობს სწავლას მოწყურებული ახალგაზრდობაც, მაგრამ მათი ერთმანეთთან შეხვედრა ძნელდება იმ ბარიერების გამო, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

მეორე, არსებობენ სასწავლებლები და სწავლების ისეთი ფორმები, რომელთა მეშვეობითაც ეს ორი მხარე ერთმანეთს პოულობს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უცხო ენების და გამოთვლითი ტექნიკის სწავლება კერძო ფირმების მიერ, რომელთა შორისაც უკვე გამოიკვეთნენ ლიდერები. მათი მიღწევების საფუძველია: სპეციალიზაცია, „მცირეგაბარიტულობა" და აქედან გამომდინარე, მოქნილობა, ავტონომიურობა, პერსონალის გაცილებით უფრო მაღალი ანაზღაურება, შიდა და გარე კონკურენცია, ანუ სწორედ ის ფაქტორები, რომლებიც ამერიკელი სპეციალისტების აზრით, განაპირობებენ ბიზნესში წარმატებებს (თურმე ჩვენთანაც შეიძლება „ამერიკის აღმოჩენა").

მაგრამ იგივეს გაკეთება შეუძლია პედაგოგთა ჯგუფსაც (ან ჯგუფებს) ნებისმიერ ნორმალურ კათედრაზე. ნამდვილ მეცნიერს იშვიათად თუ აქვს ახალი უმაღლესი სასწავლებლის გახსნის თავი (საჭიროა კი?) მაგრამ თანამოაზრეთა მცირე ჯგუფთან ერთად (ან დამოუკიდებლადაც) ნამდვილად შეძლებს გააკეთოს ის საქმე, რომელიც ხელეწიფება, შეასწავლოს მსურველს საგნების შესაბამისი მოდელი.

ამგვარი კათედრები, ცხადია, წამყვან სამეცნიერო ცენტრებშიც შეიძლება შეიქმნას. მათი ფუნქციონირება გაზრდის კონკურენციას, აამაღლებს სწავლების ხარისხს.

სწავლებისადმი ასეთი მიდგომა რეპეტიტორობასაც შეიძლება შევადაროთ, ოღონდ უფრო მაღალ რეგისტრში აყვანილს.

ერთი, რაც სახელმწიფოსგან მოითხოვება, არის სწავლების შემოთავაზებული ფორმის იურიდიული ხელდასხმა, იმ მინიმუმის განსაზღვრა, რომლის ათვისების შემდეგაც გაიცემა სახელმწიფო დიპლომი. „მაქსიმუმს" კი ყოველი ადამიანი თვითონ განუსაზღვრავს საკუთარ თავს (ან ამას გააკეთებს ფირმა, რომელიც დაინტერესებული იქნება თავისი თანამშრომლების შემდგომი პროფესიული ზრდით).

**გელა ღვინეფაძე.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი.



# 1993 წლის 14 სექტემბრის მოვლენა ოთხი წლის გადასახედიდან

1993 წლის 14 სექტემბერს მაშინდელი სახელმწიფოს მეთაურის მოულოდნელმა განცხადებამ გადადგომის შესახებ, ბუნებრივი არაერთგვაროვანი რეზონანსი წარმოშვა. ოპოზიციის „თავხედობით“ თავმობეზრებულმა შევარდნაძემ — ხომ არ გგონიათ ეს თვითმარქვია სახელმწიფო საბჭო მენატრებოდაო, — დაიმუქრა და მუქარას შედეგიც მიაყოლა, ხვეწნა-მუდარითა და გადარჩენის იმედად თითქმის „ძალით“ ჩამოყვანილი პოლიტიკოსის გაქცევის შიშით შემძრალი ელიტარული ინტელიგენცია პარლამენტად წოდებულ „იმელის“ შენობას მოაწყდა. ირინა სარიშვილის აქტიურობამ მოლოდინსაც კი გადააჭარბა.

— მე ბოდიშს ვიხდი ყველაფრისათვის, რაც წინა წლებში შევარდნაძის შესახებ მითქვამს — ხმამაღლა განაცხადა ქალბატონმა სარიშვილმა და შეკრებილთ მოუწოდა — არ დაშლილიყვნენ მანამ, სანამ შევარდნაძე ამ თავზარდამცემ გადაწყვეტილებას უკან არ წაიღებდა. ბატონმა სახელმწიფოს მეთაურმა — ჩემს გადაფურთხებულს აღარ ავლოკავო — გულშემატკივართა იმედები საბოლოოდ გააქარწყლა და იმედგადაწყვეტილებს უკანასკნელი გზაღა დაუტოვა, გზა, რომელიც შედეგიანი აღმოჩნდა. სახელმწიფოს მეთაურის დანახვისას შეკრებილებმა მის წინაშე მუხლი მოიყარეს და ამ „გულისამაჩუყებელი“ სცენის მაცქერალ შევარდნაძეს ვაჟკაცური სიტყვა გაატეხინეს.

კითხვის ნიშნები ბუნებრივად არღვევდა საზღვარს. 14 სექტემბერი კი, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების მეხსიერებაში მკაფიოდ აღიბეჭდა, დღეს, ოთხი წლის შემდეგაც აქტუალობა შენარჩუნებული ახალი კითხვის ნიშნებით მოგვევლინა.

... და მაინც, რა შეიძლება ეწოდოს შევარდნაძის ამ მოულოდნელ გადადგომა-დაბრუნებას — სპექტაკლი, უმადურთა შორის აღმოჩენილის ერთი ჩვეულებრივი ნაბიჯი თუ... კომენტარი ქართველ პოლიტიკოსებს ვთხოვეთ.

*თამარ ჩხეიძე — ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე:* როგორც მაშინდელი, ისე დღევანდელი თვალთახედვითაც ეს სპექტაკლი იყო და მეტი არაფერი. სპექტაკლი, რომელიც თავიანთი მიზნის მისაღწევად დროგამოშვებით სჭირდებათ ხოლმე ერთპიროვნულ მმართველობაზე აგებულ მსგავს რეჟიმებს. მაშინვე ნათელი იყო (და, მით უმეტეს, დღეს ხომ ცხადზე უცხადესია), რომ ეს თამაში პარლამენტის დათხოვნისაკენ იყო მიმართული და არა მარტო პარლამენტის დათხოვნისაკენ. ოპოზიციის განადგურებისკენაც. მაშინ ოპოზიციის ნაქოლვაზეც კი გაისმოდა აქა-იქ ხმები.

რამდენიმე დღეში სპექტაკლის მიზანი უფრო დაკონკრეტდა — მზადდებოდა სოხუმის ჩაბარება. ასეთ დროს კი, პარლამენტის ფუნქციონირების შეწყვეტა განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო (თუმცა, მათ გეგმებს პარლამენტი ხელს არ უშლიდა). ორ-სამ დღეში სოხუმზე შეტევაც დაიწყო.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის როლიც, რომელიც ამ თამაშში [illegible] შეასრულა.

*ვახტანგ ბეჭუაძე — საქართველოს პარლამენტის წევრი:* 1993 წლის 14 სექტემბერი მაშინ სულ სხვანაირად გამოიყურებოდა და დღეს, 1997 წლის საქართველოდან სულ სხვანაირად აღიქმება. მახსოვს, პარლამენტში შევარდნაძესა და იოსელიანს შორის სერიოზული უთანხმოება მოხდა. შევარდნაძემ გადაწყვიტა, გადამდგარიყო. მან, სამწუხაროდ, ერთი მწარე ფრაზაც გამოიყენა, თითქმის დაფიცა კიდეც — ჩემს გადაფურთხებულს აღარ ავლოკავო, მაგრამ...

მართალია, შევარდნაძის წინაშე დაჩოქილთა შორის არ ვყოფილვარ, მაგრამ ვფიქრობდი, რომ მისი გადადგომა კიდევ უფრო უარეს არეულობას გამოიწვევდა. ყველანაირად ვცდილობდი, მისთვის გადაწყვეტილება შემეცვლევინებინა. პატრიარქსაც კი დავურეკე იგივე თხოვნით. ჩემი მაშინდელი ამგვარი განწყობა, ალბათ, კანონზომიერიც იყო. მაგრამ დღეს, როცა მსოფლიო ისტორიის გრიგალში გვიწევს ცხოვრება, როცა ჩვენდაუნებურად მსოფლიო მოვლენებზე ვართ გამობმულნი, ყველაფერი სულ სხვანაირად აღიქმება და არცთუ უსაფუძვლოდ. სამწუხაროდ, ბატონმა ედუარდმა დემოკრატიისგან საკმაოდ დიდი გრადუსით გადაუხვია. როცა რაიონის მაცხოვრებელს გამგებლის არჩევის უფლებას არ აძლევ, საინტერესოა, რა შეიძლება ვუწოდოთ ამას — თანამედროვე ევროპული კურსის გამოხატულება თუ ძველბიზანტიური? ჯერ კიდევ ამ ბოლო დღეებამდე მჯეროდა, შევარდნაძის ხელისუფლების პროდასავლური კურსის არსებობის. მაგრამ დავრწმუნდი, რომ ეს არც პროდასავლური, არც პრორუსული და არც პროსამხრეთული კურსია. ქვეყანა უორიენტირო მდგომარეობაშია. პირობითად ამას უორიენტირო კურსი შეიძლება ვუწოდოთ.

*ივლიანე ხაინდრავა — რესპუბლიკური პარტია:* 1993 წლის 14 სექტემბრის მოვლენებზე საუბრისას უმჯობესია გავმიჯნოთ პოლიტიკური ასპექტები ზნეობრივი და ემოციური ასპექტებისგან. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს იყო უმძიმესი დღეები საქართველოსთვის და ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ უკვე იცოდა, თუ რა კატასტროფა გველოდა უახლოეს პერიოდში. იცოდა ისიც, რომ კატასტროფა აფხაზეთში მნიშვნელოვანწილად განაპირობა მათ მიერვე დაშვებულმა უამრავმა შეცდომამ. შევარდნაძე ვა-ბანკზე წავიდა და გამოიყენა მომენტი ქვეყნის კოლექტიური და, პირდაპირ რომ ვთქვათ, ამორფული და უნიათო ხელმძღვანელობისგან ერთმმართველობაზე გადასასვლელად. ამას მიაღწია კიდეც. რამდენად ამართლებს შევარდნაძის ერთმმართველობა საქართველოში, ეს უკვე სხვა საკითხია.

რაც შეეხება მეთოდებს და მექანიზმს, მისთვის ამ სფეროში აკრძალული არაფერი არსებობს. სამწუხარო და სამარცხვინო კი ის ისტერია იყო, რომელიც ირინა სარიშვილის წინამძღოლობით შექმნა მისმა მაშინდელმა უახლოესმა გარემოცვამ და რუსთაველზე შეკრებილი ხალხის რეაქციამ.

ჩემთვის 1993 წლის 14 სექტემბერი ქართველი პოლიტელიტის ზნეობრივი დაცემის უფსკრულის ფსკერია.

მოამზადა
**ნონა ბურნაძემ**



კვირის მოვლენა კომენტარით

# კამპანიას გაუმარჯოს, მაგრამ...

*საქართველოს პარლამენტის ბიუროს გამსვლელმა სხდომამ, რომელიც ფოთში, გაშლილ ზღვაში, კომფორტაბელურ გემზე შედგა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია და გასული კვირის მთავარ „სალაპარაკო თემადაც“ იქცა, რასაც ხელი შეუწყო პრესისა თუ ტელევიზიის საშუალებით გავრცელებულმა ინფორმაციებმა და ვიდეოსიუჟეტებმა. 16 ათასი ლარი, ანუ საშუალოდ სამი დეპუტატის საზღვარგარეთ მივლინების თანხა — აი, პარლამენტართა „გასეირნების“ ფინანსური შედეგი. ჩვენ რომ მდიდარი, ეკონომიკურად მძლავრი სახელმწიფო გვქონდეს, შესაძლოა, მსგავს საკითხებზე საუბარი აზრადაც არავის მოსვლოდა (თუმცა, არც ამას გამოვრიცხავთ), მაგრამ, მაშინ, როდესაც მოსახლეობის უმეტესობა უმძიმეს მდგომარეობაშია, და არათუ დასვენების, არამედ ზოგიერთ მათგანს ლუკმაპურის საყიდელი ფულიც კი არა აქვს, მაშინ, როდესაც ამდენი მათხოვარი დადის თბილისის ქუჩებში (და არა მარტო თბილისის ქუჩებში...) ბიუროს გამსვლელი სხდომის ამგვარად ჩატარების „აუცილებლობა“ არცთუ სასიამოვნო ელფერს იძენს, თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ ყოველგვარ შეფასებას, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ინდივიდუალური მიდგომა განაპირობებს, თავად პარლამენტარები კი ფიქრობენ, რომ..*

## „ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს!“

*გიორგი ბარამიძე — ფრაქცია „მოქალაქის“ თავმჯდომარე:*

ეს აჟიოტაჟი პარლამენტის არაკეთილმოსურნეების მიერაა ატეხილი. მათ ელემენტარულად არ ესმით, რა არის საპარლამენტო მუშაობა და სწორედ იმ ფონზე, რომ დღეს ბევრი ადამიანი სარჩოს გარეშეა დარჩენილი, ადვილად იყენებს პარლამენტის ბიუროს ქალაქგარეთ გასვლის ფაქტს, არადა, უნდა ითქვას, რომ პარლამენტის ბიუროს ამ სხდომაზე ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მივიღეთ, რაც გარკვეულწილად დაგვეხმარება შემდგომი მუშაობის წარმართვაში. რაც შეეხება გემის თემას, ესეც აშკარად ხელოვნურად არის წინა პლანზე წამოწეული პარლამენტის მიმართ ნეგატიურად განწყობილი ხალხის მიერ. მას შემდეგ, რაც პარლამენტის ხელმძღვანელობამ ფოთში გადაწყვიტა ბიუროს სხდომის ჩატარება, გემის ხელმძღვანელობამ, რომელიც ადრე თურქების კუთვნილება იყო და ამჟამად ქართული ფირმის არენდაშია, ფოთის მერიას სთხოვა, რომ პარლამენტს პატივი დაედო მათთვის და სხდომა ამ გემზე ჩატარებულიყო. ეს არის პირველი ქართული სამგზავრო გემი. იგი ფოთი-სოჩის მიმართულებით მოძრაობს და თავისთავად, აღნიშნული ფაქტი ერთგვარი რეკლამა იქნებოდა ქართული ბიზნესისათვის. ყოველივე ამას ორგანიზება ფოთის მერიამ გაუკეთა. საკუთრივ მუშაობა, ჩემი აზრით, ძალიან ნაყოფიერი იყო. რაც შეეხება ხარჯებს, ეს დაახლოებით სამი პარლამენტარის საზღვარგარეთ მივლინების თანხაა... არც ერთი საქმე ხარჯის გარეშე არ კეთდება, წინააღმდეგ შემთხვევაში პარლამენტი ჰაერში დარჩება გამოკიდებული და თუ მისი საქმიანობის უზრუნველყოფა არ მოხდა, საერთოდ რა კანონშემოქმედებით პროცესზეა საუბარი? ეს მხოლოდ ციფრების გრიალია და მე ვფიქრობ, რომ ამაში არაფერი საგანგაშო არ არის, როდესაც ჩვენ პარლამენტის მუშაობის ორგანიზების ხარჯებზე ეკონომიას ვაკეთებთ, შემდეგ ამ არაორგანიზებულობის გამო, გაცილებით მეტად ზარალდება სწორედ გაჭირვებული ხალხი, რადგანაც დროზე ვერ ვიღებთ საჭირო კანონებს და შესაბამისად ხარისხიანად ვერ წარვმართავთ ეკონომიკურ რეფორმას... ჩვენ ერთ სახელმწიფოში ვცხოვრობთ... პარლამენტის წევრებს მართალია, საწუწნო არაფერი გვაქვს, ასე თუ ისე, ხელფასი ნორმალურია და პირადად მე, მეყოფნის, მაგრამ უამრავი ადამიანი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ყველა ჩვენთაგანის ინტერესი ის არის, რომ რაც შეიძლება მალე გამოვიყვანოთ ჩვენი ქვეყანა ამ მდგომარეობიდან და ეს დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ და რამდენად ეფექტურად იმუშავებს პარლამენტი... ის რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, წმინდა წყლის იაფფასიანი კომუნისტური პროპაგანდაა, რომელიც, სამწუხაროდ, რამდენიმე გაზეთმა აიტაცა, ძალიან ბევრმა კი ამას ყურადღება არ მიაქცია და არსებით მხარეს გაუსვა ხაზი... რა სალაპარაკოა, გემზე რა იყო და პარლამენტის წევრები რას აკეთებდნენ ზღვაზე... ბუნებრივია, როცა დასვენებაა, დასვენება უნდა იყოს... ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ და ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავ... როცა ზღვაზე ხარ და შესვენებაა სხდომიდან სხდომამდე, სწორედაც უნდა იბანაო!... უფრო არაბუნებრივი იქნებოდა შარვალ-კოსტუმში რომ ვმჯდარიყავით... მთავარია, ყურადღება მიექცეს იმას, თუ რა საქმე გაკეთდა, რაზეც ბულვარული პრესა არ საუბრობს. მკითხველის მიზიდვის მიზნით კი მსგავს რაღაცე-ქმიანობა ამ თემას ეძლევება და ვამბობ, რომ, დაე, ყოველდღე გამართონ [illegible] ვახტანგ, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ვარ კახელი კაცი, ჩემს სახლთან დგახართ და არ შემიძლია ერთი ხელადა ღვინო გამოვიტანო და დაგალევინოთო... მეტი რა გინდათ, ტიბაანი ხომ ერთ-ერთი ტრადიციული სოფელია ღვინის წარმოების და კახელი კაცი რომ ამას გეტყვის, რაღა უნდა ითქვა... ერთი სიტყვით, მმართველ პარტიას ჰგონია, რომ რჩეულიშვილები ებრძვიან... თავიანთ თავს თვითონვე უთხრიან ძირს... ცოტა სხვაგვარად უნდა მოიქცნენ... ამათი 16 ათასი ლარი არც გაამდიდრებს და არც გააღარიბებს მოსახლეობას, მაგრამ, როცა ხალხს ...ებს წერენ... თუმცა, ყველას თავისი გზა აქვს და იმ გზაზე გაუმარჯოს... ყველა იმასვე მოიმკის, რასაც დათესავს...

## „ქვეყანას ქეიფს ნუ გადააყოლებენ...“

*ვახტანგ რჩეულიშვილი — სოციალისტთა პარტიის თავმჯდომარე, პარლამენტარი:*

— საქმე რაშია, იცით? როდესაც პარლამენტი წვეულებებს, მიღებებს აწყობს, მასზე, თავისთავად, საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება. მსგავსი რამ ყველა ქვეყანაში ხდება და ყველგან ხალხის აღშფოთებას იწვევს. აი, ახლა იაპონელებმა ტოკიოს მერს მოსთხოვეს გამოაქვეყნოს თუ რა თანხები იხარჯება ბანკეტებზე, რამაც მერიის ჩინოვნიკების სასტიკი აღშფოთება გამოიწვია... თუ მდიდარ იაპონიაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 33 ათასი დოლარის პროდუქცია იქმნება, საიდანაც 30 პროცენტი ბიუჯეტში ხვდება და იქ იწვევს აღშფოთებას ასეთი ბანკეტები, წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში ვარდება აქაური ხელისუფლება, სადაც ეს შემოსავლები ერთ კაცზე, ანუ შიდა ეროვნული პროდუქტი, წელიწადში 1000 დოლარია და აქედან ბიუჯეტში მხოლოდ 7-8 პროცენტი ანუ 70-80 დოლარი ხვდება. იაპონიაში ერთ ადამიანზე 10 ათასი დოლარი იხარჯება, ჩვენთან — 70,80, პა 100 იყოს... განსხვავება, როგორც ხედავთ 100-ჯერ მეტია... წარმოიდგინეთ, 8-10 ლარიანი პენსია, გაუბედურებული ხალხი და ამ დროს 300 კაციანი ბანკეტები ზუგდიდში, შემწვარი, ფეხზე დამდგარი ციკნები, გემზე გასეირნებები და, რა თქმა უნდა, გაღარიბებული მოსახლეობა... მე თვითონ ვნახე ფოთელები, ესენი რას შვრებიანო, გაოცებულები იყვნენ... სწორედ ამიტომ ვამბობ, მსგავსი რამ ნორმალურ ქვეყანაშიც კი აღშფოთებას იწვევს და როცა ღარიბ ქვეყანაშიც საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო მიღებები უზარმაზარი პომპეზურობით ტარდება, ეს „ბანანის“ რესპუბლიკის შთაბეჭდილებას ტოვებს... ხალხის აღშფოთება სავსებით გასაგებია, მაგრამ ჩემთვის მთავარი პრობლემა ის კი არ არის, თუ რამდენი დახარჯა ზურაბ ჟვანიამ თავის ბანკეტზე, არამედ ის, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონე დაბალია და აუცილებლად უნდა გაიზარდოს შიდა ეროვნული პროდუქცია... ამიტომ ჩემი ძირითადი საპარლამენტო სა-ცხოვრების შესაძლებლობა არა აქვს. მთავარი უბედურება ეს არის... ამიტომ, ნუ გადააყოლებენ ქეიფს ქვეყანას და ისეთი კანონები მიიღონ, რომელთა ამოქმედებაც მდგომარეობას გამოასწორებს. მე ვმუშაობ ახლა ასეთ კანონპროექტზე, მაგრამ პარლამენტის მიერ მიღებული კანონის მიუხედავად, საშემოდგომო სესიის გეგმაში კი არ შეიტანეს, ეს არის მრეწველობის დაფინანსების, მისი აღორძინებისა და გადარჩენის შესახებ კანონი... თუ პარლამენტმა არ გააუმჯობესა თავისი კანონშემოქმედებითი საქმიანობა არა რაოდენობრივად მიღებული კანონებით, არამედ ხარისხობრივად, რათა მრეწველობა გადავარჩინოთ, ჩვენ კიდევ უფრო გავამწვავებთ საკითხს და ძალიან ცხელ შემოდგომას ვპირდებით პარლამენტს...

* * *

*ასეა თუ ისე, „ყველაფერი“ უკვე ჩავლილია და „ყველაფერი“ ისევ წინაა. დასვენებული და ახალი ენერგიით აღვსილი პარლამენტარები მუშაობას შეუდგნენ. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ბატონი ზურაბ ჟვანია აღნიშნავს, მათი საქმიანობა „ახალ ქართულ პოლიტიკურ ტრადიციას დაამკვიდრებს“, რაც კომპრომისების ძიებასა და პოვნაში გამოიხატება. საშემოდგომო სესია 25 ნოემბრამდე გაგრძელდება, მუშაობის პროცესი ჯერ კიდევ წინაა, მით უმეტეს, შედეგი ... ვნახოთ...*

*და ერთიც... დარწმუნებული ვარ, არც ბატონი ზურაბ ჟვანია და არც გიორგი ბარამიძე ტყუილს არ იკადრებდნენ, როცა ოფიციალურად და ღიად განაცხადეს, რომ აღნიშნული სხდომის ორგანიზება სულ რაღაც 16 ათასი ლარი დაჯდა, ეს თანხა კი სამი დეპუტატის მივლინების ხარჯებს თუ აანაზღაურებს, მაგრამ, რადგან ეს ითქვა, იქნებ იმაზეც ვეფიქრა, რამდენად საჭიროა პარლამენტართა არცთუ იშვიათი „ვოიაჟები“ უცხოეთის ქვეყნებში?... ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ მსგავსი „მოგზაურობების“ დროს საქმეს არავინ აკეთებს, მაგრამ, ფაქტია, არც მთლად უამისობაა... აღნიშნული თანხა ცოტა არაა ჩვენნაირი ქვეყნისათვის. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, რომელიც დღეს საქართველოშია შექმნილი, ეს თანხა, ალბათ, ორ-სამ რაიონის მასწავლებლებს მთლიანად მოუხსნიდა რამდენიმე თვის ხელფასის პრობლემას...*

**თამარ ოთიაშვილი**

ხალხის ხმა ქრონიკა



აგორებული ჭორის კვალდაკვალ



# სასიკვდილო დარტყმა?!

სასწავლო წლის დაწყების წინა დღეებში ხმა დაირხა, ბაგა-ბაღების გადასახადი ძვირდებაო, იმასაც ამბობენ, სახელმწიფო ხელს იღებს სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსებაზე და მომავალი (1998) წლიდან, შესაძლებელია, ისინი თვითდაფინანსებაზე გადავიდნენო. ამ უკანასკნელ ხანს იმდენი „ჭორი" გამართლდა და „დარხეული ხმები" რეალობად იქცა, რომ აღარ მეეჭვება – ამაზე „ზემოთ" ჯერ-ჯერობით ჩუმად, მაგრამ მაინც სერიოზულად ლაპარაკობენ.

1989 წლამდე რესპუბლიკაში 2400-მდე საბავშვო ბაღი, ბაგა-ბაღი და ბაგა იყო, დღეისათვის მათი რაოდენობა 1254-მდე შემცირდა, მათ შორის, თბილისში, 200-მდე. ბავშვთა რაოდენობა რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში 83100 აღწევს, თბილისში – 23800-ს. სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა, ძირითადად, რეგიონებში შემცირდა, რადგანაც მოსახლეობა იქ ნაკლებად გადამხდელუნარიანია, თანაც სოფლად მშობლებს უფრო აქვთ საშუალება, ბავშვი შინ ჰყავდეთ. თბილისში ბაღები თითქმის არ დახურულა, აქ მხოლოდ ჯგუფები და ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა შემცირდა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ თუ 3-5 წლის წინათ სკოლამდელი დაწესებულებების კონტინგენტმა მნიშვნელოვნად იკლო, შარშანწინ, შარშან და, წინასწარი მონაცემებით, წლეულსაც, საგრძნობია ზრდის ტენდენცია – ე.ი. მოსახლეობის მოთხოვნილება ამ სფეროში იზრდება.

დღეისათვის სკოლამდელი დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ყველა მუხლს და კვების ნაწილს ადგილობრივი ბიუჯეტები აფინანსებენ. მოსახლეობის ოფიციალური გადასახადი 50 თეთრია. ბავშვთა კვებისათვის კი ძირითადი დატვირთვა მშობელთა „ნებაყოფლობით შემოწირულობებზე" მოდის – ეს თანხა სხვადასხვა ბაღში სხვადასხვაა, და 5-10 ლარის ფარგლებში მერყეობს. რაიონებში ადგილობრივ ბიუჯეტებს უჭირთ ბაგა-ბაღების დაფინანსება, თბილისში ცოტა უკეთესი მდგომარეობაა, დედაქალაქის ზოგიერთი რაიონი, მაგალითად, მთაწმინდის, საბურთალოს, დიდუბის – იმასაც ახერხებს, რომ პროდუქტებით ნაწილობრივ მაინც მოამარაგოს მისდამი დაქვემდებარებული ამგვარი დაწესებულებები.

ასე რომ, დღეს ეს 1254 ბაღი, მეტ-ნაკლებად, ნორმალურად ფუნქციონირებს, მაგრამ თუ ჭორი კვლავ გამართლდა და მთლიანი თვითდაფინანსება განხორციელდა, ძნელი მისახვედრი არ არის, რაც მოხდება.

– ოფიციალური გადაწყვეტილება ამის თაობაზე ჯერ არ არსებობს, მაგრამ თუ ბაღების მთლიანად თვითდაფინანსებაზე გადასვლა მართლა მოხდა, ამ ეტაპზე ეს სისტემის დანგრევას ნიშნავს, – მიაჩნია საქართველოს განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის, ინტერნატული დაწესებულებებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველოს სკოლამდელი აღზრდის მთავარ სპეციალისტს ქალბატონ ნანა ფოფხაძეს. – ჩვენ, რასაკვირველია, მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს ჩვენი სისტემის ორგანიზაციებთან და ვიცით, რომ მშობელთა დიდი ნაწილი იმ თანხას, რაც ამ შემთხვევაში მას დაეკისრება, ვერ გადაიხდის. ზუსტ თანხას, თუ რა დაუჯდება მშობელს წელიწადში ერთი ბავშვის შენახვა, თუ ხელფასებს, კომუნალურ გადასახადს, კვებას და სხვა ყველა ხარჯს თვითონ აანაზღაურებს, ვერ გეტყვით, მაგრამ ვიცით, რომ ეს საკმაოდ შთამბეჭდავი რიცხვია და ამას მშობელთა დიდი ნაწილი ვერ გასწვდება.

– განსაკუთრებით თბილისის პერიფერიებსა და რეგიონებში გაუჭირდებათ, რადგანაც მოსახლეობა ცენტრში უფრო გადამხდელუნარიანია, – თვლის ამავე სამმართველოს სკოლამდელი აღზრდის წამყვანი სპეციალისტი ქალბატონი თინათინ ჭიჭაშვილი, – არადა, მოსახლეობის მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება. თუ ბაღები თვითდაფინანსებაზე გადავა, დარჩენილი 1254-დან კიდევ ბევრი, დაიხურება. ჩვენს დაწესებულებებს, ყველაფრის მიუხედავად, მეტ-ნაკლებად, კარგი მატერიალური ბაზა აქვთ და ამასაც ხომ დავკარგავთ. ხოლო როცა მშობელი გადამხდეუნარიანი გახდება, და ამდენად, სკოლამდელ დაწესებულებაზე მოსახლეობის მოთხოვნილება კვლავ გაიზრდება, იმ დროისათვის ჩვენ ვერ მოვახერხებთ ბევრი მათგანის შენარჩუნებას...

მე, პირადად, მგონია, რომ სკოლამდელი დაწესებულებების მთლიან თვითდაფინანსებაზე გადასვლა მოსახლეობის დიდი ნაწილის ისედაც მწირ ოჯახურ ბიუჯეტს სასიკვდილო დარტყმას მიაყენებს და ამის განხორციელების უფლება სახელმწიფოს დღეს არ აქვს.

**ნინო ლურსმანაშვილი**

## საჭიროა ახალი მექანიზმი

არგადახდების პრობლემაა მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ საბრუნავი საშუალებების შევსებას და მათი ფუნქციონირებაც ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. სრული ეფექტიანობით არ მოქმედებს აგრეთვე შემოტანილ ნედლეულზე დამზადებული საექსპორტო საქონლის დღგ-საგან განთავისუფლების მექანიზმი. ვინაიდან პრაქტიკაში მკაცრად დაინერგა იმპორტის დროს გადახდილი დღგ-ს მომავალში ჩათვლის წესით დაბრუნება, რაც ჯერ ერთი, დროში განსხვავებულია და აზარალებს მეწარმეს და მეორეც, ხშირ შემთხვევაში მეწარმეს უკვე გადახდილი აქვს ყველა გადასახადი და საერთოდ არ საჭიროებს ჩათვლებს. გადახდილი თანხის უკან დაბრუნება კი, როგორც წესი, ვერ ხერხდება. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საჭიროა შემუშავდეს ქმედითი მექანიზმი ბიუჯეტის მეწარმეებისადმი მიმდინარე დავალიანებების დროული დაფარვის უზრუნველსაყოფად.

## პური და ფუნთუშეული

ოპერატიული მონაცემებით, ქვეყანაში პურ-ფუნთუშეულის 7 თვის წარმოება 30 პროცენტითაა შემცირებული,

## ეკონომიკური ინფორმაცია

რაც ძირითადად ლიცენზირებისა და რეგისტრაციის მოწესრიგებით უნდა აიხსნას. აქ კი გადამწყვეტი სიტყვა სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრომ და ტერიტორიული მართვის ორგანოებმა უნდა თქვან და რაც შეიძლება სწრაფად, ვინაიდან მახინჯდება არა მარტო რეალური მდგომარეობა, არამედ იკარგება საბიუჯეტო შემოსავლებიც.

## ზარალი ყოველდღიურად იზრდება

სამეურნეო საქმიანობის მთლიანად შეწყვეტის პერსპექტივა ემუქრებათ ბუნებრივი აირის მომხმარებელ საწარმოებს, რომლებმაც ვერ გადაიხადეს მოხმარებული რესურსების ღირებულება 30 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, რის შედეგადაც მთლიანად რესპუბლიკას შეუწყდა ბუნებრივი აირის მოწოდება. მართალია, ამჟამად აღნიშნული საწარმოების და საქტრანსგაზის წარმომადგენლები ყოველ ღონეს ხმარობენ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ მანამდე ზარალი ყოველდღიურად იზრდება.

## რა ხდება აგრარულ სექტორში

მიმდინარე წლის აგრარულ სექტორში [illegible] ოპერატიული მონაცემებით აგვისტოს პირველ დეკადაში. საშემოდგომო მარცვლეული კულტურები აღებულია 117 ათას ჰექტარზე და მიღებულია 222 ათასი ტონა მარცვალი, ანუ 19 ცენტნერი ერთი ჰექტარიდან, რაც 6 პროცენტით აღემატება შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს.

უკეთესი მდგომარეობაა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის საქმეშიც. კერძოდ, მოკრეფილია 21 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, რაც 800 ტონით აღემატება შარშანდელ ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

## გაზრდილია გადაზიდული ტვირთების ოდენობა

წინა თვეებთან შედარებით წინა თვე უკეთესი შედეგებით დაამთავრეს რკინიგზისა და ავტოტრანსპორტის მუშაკებმა. განვლილ 7 თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მათ მიერ გადატანილი ტვირთების მოცულობა გაზრდილია შესაბამისად 45 და 27,3 პროცენტით, მგზავრთა გადაყვანისა – 40 და 6 პროცენტით. სამწუხაროდ, ამ მხრივ უკეთესობისკენ არ შეცვლილა მდგომარეობა საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტზე.

# ოდეს ტურფა გაიაფდეს... ანუ მოვატყუეთ კი უცხოელი კაპიტალისტი?!

ჩვენი გაზეთის მე-11 ნომერში გამოქვეყნდა ჩემი წერილი „ბაგრატიონს" ბედისწერამ ოკეანის იქეთა პატრონი მოუვლინა", რომელიც ამერიკელებზე შამპანურის ქარხნის ტენდერით მიყიდვას ეხებოდა. წერილში გამოვხატე გულისტკივილი (რომელსაც მხოლოდ მე არ ვიზიარებდი) იმის გამო, რომ ქართული ეკონომიკის ყოფილი გიგანტი იყიდება „ჩალის ფასად" ანუ ორ მილიონ დოლარად. როგორც ეკონომისტი, გამოვთქვამდი ჩემს მოსაზრებას, რომ თანამედროვე ტარიფებით სააუდიტორო შეფასების შემთხვევაში (ობიექტი იყიდება საბალანსო ღირებულებით) ეს ფასი არარეალური აღმოჩნდებოდა და იგი დაახლოებით 20 მილიონს მიაღწევდა (ქარხანაში არსებული ყველა რეალური საბრუნავი საშუალებების და სიმდიდრის, ასევე ესთეტიკური სილამაზის გათვალისწინებით).



„ასე გაყიდეს ნელ-ნელა მთელი საქართველო კაპიკებში, თქვენ ამოიღეთ ხმა ახალგაზრდებმა, თორემ ჩვენნაირ ბებრებს ახლა ვინღა უსმენს"...





გამოხმაურება გაზეთის გამოსვლის დღიდანვე დაიწყო. რეაქცია არაერთგვაროვანი აღმოჩნდა. რეკავდნენ ნაცნობები თუ უცნობები. ერთნი აქებდნენ ჩემს პატრიოტულ გრძნობას, მეორენი არაკომპეტენტურობაში მადანაშაულებდნენ, თავხედობასაც მწამებდნენ და ლამის ინვესტიციების მოზიდვის მტერიც მიწოდეს... ზოგიერთმა ისიც კი მომაგონა, რომ „ჩალის ფასად" გაყიდული ეს პირველი და უკანასკნელი ობიექტი არ იყო და რაღა მაინცდამაინც „შამპანურს გადავეკიდე"...

ამიხსნეს, რომ არავის აინტერესებს ჩვენი ქართული „წყალწყალა" შამპანური და თუკი ვინმე მისით დაინტერესდა, ტაში უნდა დავუკრათ და სიხარულით „გადავირიოთ". „ — აკი ქართულმა „ბაგრატიონმა" ბოლო უკანაკნელ წლებში სამი ოქროს მედალი მოიპოვამეთქი" — გაკვირვებულმა ვიკითხე — „ის მხოლოდ განსაკუთრებულად ჩამოსხმულმა შამპანურმაო" — მიპასუხეს.

ე.ი. შესაძლებელი ყოფილა და შესძლებიათ ქართველებს „განსაკუთრებული" შამპანურის ჩამოსხმა იგივე ქარხანაში, იგივე პირობებში, როგორშიაც ის დღეს იმყოფება... მაგრამ ეს საქმე მაინც და მაინც ამერიკელებმა უნდა გააკეთონ, თანაც აქციების 76 პროცენტით თვითონ უნდა ისარგებლონ და მხოლოდ 24 პროცენტი დაუტოვონ საქართველოს. თუკი დღეს თანამედროვე აუდიტორული დასკვნებით ულიმლამო, კუსტარული ობიექტები ფასდება 2 მილიონად, მაშინ როგორღა გავიგოთ, ამხელა გიგანტიც 2 მილიონად რომ უნდა გაიყიდოს?

„ — ბავშვმაც კი იცის, შვილო, ეს ფასი რეალური რომ არ არისო", — მითხრა ერთ-ერთმა უცნობმა გულშემატკივარმა მოხუცმა, რომელმაც რედაქციაში დარეკა და მისი ვინაობის ანონიმურობა მთხოვა — „ასე გაყიდეს ნელ-ნელა მთელი საქართველო კაპიკებში, თქვენ ამოიღეთ ხმა ახალგაზრდებმა, თორემ ჩვენნაირ ბებრებს ახლა ვინღა უსმენსო"...

ვისაც უსმენენ, იმათგან კი ასეთი პასუხები მივიღე: უცხოელ კაპიტალისტებს არაფერში აინტერესებთ, რომ შამპანურის ქარხნის სადეგუსტაციო დარბაზი და ინტერიერი იშვიათი ხარისხის და სილამაზის მდიდრული მარმარილოთია ნაკეთები, რომ არავის აინტერესებს ქარხნის უზარმაზარი ტერიტორია, ორსართულიანი მიწისქვეშა საცავი უზარმაზარი ემალისებური ცისტერნებით (რომელიც თურმე დახვრეტილი და წყობიდან გამოსულია) ასევე წყობიდან გამოსულია თურმე ჩამოსასხმელი ხაზები, რომელიც კარგ მდგომარეობაშიც რომ იყოს, უკვე მოძველებულია, სულ არავის აინტერესებს 10 მილიონის ღირებულების 7 წლიანი დაძველების საშამპანურე მასალა (რომელიც ტენდერში საერთოდ არ იღებს მონაწილეობას) და საერთოდ, ქარხანა მთლიანად წყობიდან არის გამოსული და განადგურებული...

*P. S. კუთხეში მიყენებული ოროსანი ბავშვივით, რომელმაც ვერაფრით გაიგო გაკვეთილი (მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის ყველა წევრმა ცალ-ცალკე აუხსნა, ბებიის ჩათვლით) მე ისევ ვკითხულობ: — თუკი ყველაფერი წყობიდან არის გამოსული და არაფრად არ ვარგა, რაღას ყიდულობენ ამერიკელები ორ მილიონ დოლარად! მოვატყუეთ „საცოდავი" კაპისტალისტები?*

**ნატა სალუქვაძე**

### სარედაქციო ბოლოსიტყვა

როგორც დავრწმუნდით, საბაზრო ეკონომიკის ხომალდი და მისი ქართველი მესაჭენი ძირითადად სათავისო ორიენტირზე მუშაობენ. ჩვენ, შეიძლება, ვცდებით, მაგრამ გულწრფელები ნამდვილად ვართ, როცა განგაში ავტეხეთ შამპანიურის ქარხნის ესოდენ მიზერულ თანხად გაყიდვის თაობაზე. ავტეხეთ, მაგრამ ამაოდ...

ეტყობა, იქ, ზემოთ, ყველაფერი გადაწყვეტილია.

ამიტომ, ვიმეორებთ, მემატიანე და დრო განსჯის, ვინ იყო მართალი ამ განგაშისას – ჩვენ თუ ისინი?

ისევ გულწრფელად ვამბობთ – ღმერთმა ქნას ჩვენ ვცდებოდეთ?!! მაგრამ გვეეჭვება 2 მილიონ დოლარად შეფასებული ქარხნის, რომლის რეალური ღირებულება 4 – 5 -ჯერ მეტია, (თანაც იქ ინახება ამდენჯერვე მეტი ღირებულების ღვინო-მასალა), გაჩუქებით ქვეყანამ რამე იხეიროს.

ილია და ჩვენ



# მარადი სული

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1997 წლის 21 ივნისს ბატონმა ალექსანდრე შუშანაშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“. უნდა ითქვას, რომ ეს ისტორიულ-სამართლებრივი გამოკვლევა სცილდება ვიწრო მეცნიერული ნაშრომის ფარგლებს და ღირებულია ჩვენი და მომავალი თაობებისათვის იმით, რომ წარმოადგენს საუკუნის კითხვაზე პასუხის გაცემის პირუთვნელ და ფრიად სერიოზულ მეცნიერულ ცდას.

სადისერტაციო ნაშრომი ძირითადად ილიას მკვლელობის საქმეებსა და სხვა საარქივო დოკუმენტებს ემყარება. მასში მოცემულია ამ საქმეთა ანალიზი, კრიტიკულადაა განხილული სხვადასხვა ვერსიები და ვარაუდები, ცალკეულ პირთა მოგონებანი და გადმოცემანი, შეფასებულია მკვლელობის შემსწავლელ სხვადასხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ კომისიათა საქმიანობა, ბევრი საკითხი სრულიად ახლებურადაა გაშუქებული, ამასთან ბევრ სადავო კითხვასა აქვს გაცემული დასაბუთებული პასუხი.

რაც მთავარია, ნაშრომი წარმოადგენს ილიას მკვლელობის საქმეთა სამართლებრივი შესწავლის პირველ სერიოზულ ცდას ქართულ სინამდვილეში.

აქვე შევნიშნავთ, რომ ბატონი ალექსანდრე შუშანაშვილი გახლავთ საქართველოს გენერალური პროკურატურის მუშაკთა სასწავლო ცენტრის უფროსი. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილედ, იუსტიციის მინისტრად.

***– ბატონო ალექსანდრე, რამ განაპირობა თქვენი სადისერტაციო თემის არჩევანი?***

– სიმართლე გითხრათ, ამ საკითხზე დისერტაციის დაცვა არასოდეს მიფიქრია. მეგობრებმა შემაგულიანეს, განსაკუთრებით, აწ განსვენებულმა პროფესორმა ლევან თოიძემ.

რაც შეეხება თვითონ ამ თემით დაინტერესებას, მგონი, აქ გასაკვირი არაფერია. როგორც ყველა ქართველს, მეც ბავშვობიდან მაწუხებდა და მტკიოდა წიწამური. არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ ეს შემზარავი დანაშაული ქართველებმა ჩაიდინეს.

ასეა თუ ისე, ამ საკითხებზე დიდი ხანია ვმუშაობ, ფაქტობრივად, სტუდენტობის წლებიდან. მაშინ ილიას მკლელობის საქმეები რატომღაც საიდუმლოებით იყო მოცული და, ბუნებრივია, არქივებში არავინ ჩამახედებდა. იმდროინდელი პრესის ნახვაც კი დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, საკმაოდ მდიდარი მასალა მოვიპოვე. შემდგომში პოლიტიკური ცხოვრების კლიმატის შეცვლისა და ჩემი თანამდებობრივი მდგომარეობის წყალობით, საარქივო მასალებზეც მიმიწვდა ხელი. ბოლო ხუთი-ექვსი წლის ინტენსიური მუშაობის შედეგად შეიქმნა ნაშრომი, რისთვისაც ეს მაღალი სამეცნიერო ხარისხი მომენიჭა.

***– თქვენამდე ილიას მკვლელობის საიდუმლოს ამოხსნა ბევრმა სცადა. როგორ შეაფასებდით ზოგადად მათ მიერ გაწეულ მუშაობას?***

– დიახ, მართალია, საქართველოს თითქმის ყველა თაობა და მთავრობა ცდილობდა, გამოეაშკარავებინა ნამდვილი მკვლელი და გაეთავისუფლებინა ერი ბიბლიური ცოდვისაგან. ამ მიზნით იქმნებოდა სამთავრობო და საზოგადოებრივი კომისიები, ქვეყნდებოდა მონოგრაფიები, წერილები და ასე შემდეგ.

დიდი გარჯის მიუხედავად, ბევრ კითხვას დღემდე ვერ გაეცა დამაჯერებელი პასუხი. ათწლეულების მანძილზე ეს პრობლემა ვერ განთავისუფლდა პარტიული კინკალობისა და ინტერესების მარწუხებიდან. სოციალიზმის დროს ილიას მკვლელობა მეფის ოხრანკასა და მის აგენტებს ბრალდებოდათ, ხოლო ეროვნული ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ყველაფერი სოციალ-დემოკრატებსა და მათ ლიდერებს დაბრალდათ.

***– ამ ბრალდებებს, უეჭველია, რაღაც საფუძველი მაინც ჰქონდათ...***

– ორივე ვერსია ადვილად დამკვიდრდა, რადგან მათი მომხრეები საფუძვლიანად არ იცნობდნენ ილიას მკლელობის საქმეებსა და სხვა საარქივო მასალებს, საგამოძიებო წესით დადგენილ ფაქტებსა და გარემოებებს ვერ აძლევდნენ სწორ სამართლებრივ შეფასებას. მეტიც, დამკვიდრდა აზრი, თითქოს ამ საქმეზე ჩატარებული გამოძიებისა და სასამართლო წარმოების დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა დაინტერესებული პირების მიერ, დისერტაციაში ნაჩვენებია ამ შეხედულების უმართებულობა. ფაქტია, რომ ყველა საგამოძიებო და სასამართლო საქმე სრულადაა შემონახული, ჯერჯერობით არაფერი არაა დაკარგული და განადგურებული.

სამწუხაროდ, ფაქტია ისიც, რომ ეს საქმეები საფუძვლიანად არაა შესწავლილი, ბევრი დოკუმენტი უცნობია სამეცნიერო წრეებისა და ფართო საზოგადოებისათვის. ეს კი ხელს უწყობს ათასგვარი ჭორების გავრცელებას. დღემდე ამ საქმეებზე მითითება ხდებოდა პაატა გუგუშვილის მიერ 1938 წელს გამოქვეყნებული წიგნის მიხედვით, სადაც საგამოძიებო დოკუმენტების მხოლოდ ის მცირე ნაწილია შეტანილი, რომელიც, ავტორის აზრით, უდავოდ ადასტურებს, რომ ილიას მკვლელობა მოაწყო მეფის ოხრანკამ დიმიტრი ჯაშის მეშვეობით. წიგნში, ბუნებრივია, ვერ შევიდოდა ბერბიჭაშვილის საქმის მასალები, რომლებიც 1941-42 წლებში შეიქმნა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ვინ და რა კუთხით არ შეხებია ილიას მკვლელობას, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით იგი არავის განუხილავს. ამის გარეშე კი წარმოუდგენელია რაიმე სწორი დასკვნების გაკეთება. ჩემი ნაშრომი სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორებას ისახავს მიზნად.

***– რამდენი ტომისაგან შედგება ილიას საქმე და დღეისათვის როგორ მდგომარეობაშია იგი?***

– როგორც უკვე ვთქვი, გაჩნდა ცრუ ვერსია, თითქოს ილიას მკვლელობის საქმეთა დიდი ნაწილი განადგურდა დაინტერესებული ხელისუფლებისა და პირების მიერ. ეს არაა მართალი.

1907-09 წლებში ჩატარებული გამოძიების შედეგად შექმნილია სამი ძირითადი ტომი (ამის გარდა, კიდევ ოთხია). ესენი ინახება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. 1941 წელს გაასამართლეს ბერბიჭაშვილი. მისი საქმის ორი ძირითადი ტომი, რომელიც მანამდე უშიშროების სამინისტროს არქივში იყო, ახლა უკვე ორი წელია, ჩემთანაა. მირეკავენ, დაგვიბრუნეო, მე კი არ მინდა ამის გაკეთება. 10-12 წლის წინათ ეს „საქმე“ ქსეროქსზე გადავიღე. დღეს ისინი რომ ერთმანეთს შეადარო, გაოცდები – დედანი ბევრად უფრო ძნელი წასაკითხი გამხდარა, ვიდრე ასლი. მოსალოდნელია, ეს საქმე საერთოდ დაიკარგოს კიდეც. ამიტომ მინდა იგი ცენტრალურ საისტორიო არქივს ჩავაბარო, სადაც უკეთესად შეინახება.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ილიას მკვლელობის საგამოძიებო და სასამართლო დოკუმენტების ორიგინალში წაკითხვა და შესწავლა გარკვეულ სირთულებთანაა დაკავშირებული. ბევრი მათგანი იმდენად მქრქალია, რომ თვით შეიარაღებული თვალითაც კი ძნელად იკითხება. ცხადია, მომავალში კიდევ უფრო გაძნელდება მათი გაგება. აღარაფერს ვამბობ კალიგრაფიული და ტერმინოლოგიური ხასიათის სირთულეებზე. დოკუმენტების დიდი ნაწილი სავსეა სტილისტური და ორთოგრაფიული სახის უხეში შეცდომებით. ამიტომაც ყველა ეს დოკუმენტი, ქართულად თარგმნილი და გრამატიკულად გასწორებული, ცალკე წიგნად გამოვეცი.

ამ ხნის მანძილზე ძალიან დიდი მასალა დამიგროვდა. არ მინდა, დაიკარგოს. მივმართე უნივერსიტეტის ილიას კაბინეტს – სეიფები არა გვაქვს, დაგვეკარგებაო. მივედი ილიას მემორიალურ სახლ-მუზეუმში. ვერც იქ დავაინტერესე ვერავინ. ილიას საიუბილეო წელია, თუ გრძნობთ, რომ სულიერ მოძღვარს იუბილეს უხდის ერი?

***– გეთანხმებით. თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს მკვლელობის წინა რთული ისტორიული ვითარება და ილიას როლი მასში.***

– ეს პერიოდი მართლაც რთული იყო, რევოლუციური გამოსვლები, მასობრივი დარბევები, განუკითხავი ხოცვა-ჟლეტა მთელ რუსეთის იმპერიას აზანზარებდა. საქართველოში ამას ეროვნული ჩაგვრაც ემატებოდა. რევოლუციის წინამძღოლობას თაობდა სოციალ-დემოკრატია. იგი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის ლალატად, ნაციონალიზმად თვლიდა. სოციალ-დემოკრატების იდეოლოგიამ დაამახინჯა მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ეროვნული ცნობიერება, შექმნა კლასობრივი მტრის ხატი, გლეხობა თავადაზნაურობისა და ინტელიგენციის წინააღმდეგ აამხედრა.

ბოლშევიკების წაქეზებით გლეხთა შეიარაღებული რაზმები თავს ესხმოდნენ მემამულეებს, ანადგურებდნენ მათ სახლ-კარს, ჩეხავდნენ ტყეებს, ხოცავდნენ კლასობრივ მტრად შერაცხილ უდანაშაულო ადამიანებს.

***– ამ ტალღაში მოყვა დიდი ილიაც?***

– შექმნილი სიტუაციის მიუხედავად ილია მტკიცედ იდგა ეროვნულ პოზიციებზე, თავადაზნაურობას აფრთხილებდა, გლეხობის




წინააღმდეგ არ აღლო ხელში იარაღი. იგი ცდილობდა გავლენა მოეხდინა სოციალ-დემოკრატებზეც, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. ისინი (განსაკუთრებით ფილიპე მახარაძე), განაქიქებდნენ ილიას, აბუჩად იგდებდნენ მის ეროვნულ კონცეფციას, ნაციონალისტსა და სასტიკ მებატონეს უწოდებდნენ. სხვათა შორის, ბერბიჭაშვილის საქმეს დართული აქვს თვითონ ილიას რამდენიმე წერილი, რომლებიც მოწმობენ მის კეთილგანწყობასა და კარგ დამოკიდებულებას საგურამოს გლეხობასთან.

1907 წლის ივნისში ილია პეტერბურგში გახლდათ, სახელმწიფო საბჭოს სესიაზე. ახლობლები ურჩევდნენ, საზღვარგარეთ წასულიყო სამკურნალოდ, ამას დაემატა დეპეშაც იმის თაობაზე, რომ 7 ივნისს საგურამოში მოჰკლეს ილიას მამულის მოურავი და მისი ცოლი. ფაქტობრივად თავდასხმა მოხდა ილიას მამულზე, მკვლელობის შემდეგ თავდამსხმელები ილიას სახლშიც შეიჭრნენ, გახსნეს ყუთები, წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები. ამ დანაშაულში ყველამ რაღაც ავისმომასწავებელი დაინახა – გადაილახა კრძალვისა და შეუვალობის ის ზღვარი, რითაც ილია მუდამ იყო გარემოცული. მაგრამ მაინც ვერაფერმა აალებინა ილიას ხელი სამშობლოში დაბრუნებაზე.

დისერტაციაში მოტანილია ფაქტები, რომლებიც მეტყველებენ ილიას ბოლო დღეების სულიერ მდგომარეობასა და მოსალოდნელი უბედურების შესახებ ხალხში გავრცელებულ ხმებზე.

***– თუ შეიძლება გაგვაცანით ეს ფაქტები...***

– მოკლედ მოგახსენებთ. ამ პერიოდში ილიასთან სტუმრად ჩასული გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი შემდეგ იგონებდა: „მთელი ექვსი დღის განმავლობაში ჩემი უკანასკნელი ყოფნის დროს მე არ მახსოვს ღიმილი მის სახეზე“.

ილიას გარე ბიძაშვილი ზაალ ჭავჭავაძე იგონებდა: „საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ განსვენებულს რაღაცის ეშინოდა, მაგრამ თავმოყვარეობის გამო, რაც მას საერთოდ ახასიათებდა, რა აწუხებდა, არ ამბობდა. ჩემი ვარაუდი ემყარება შემდეგს: საგურამოში ცხოვრებისას, სადაც აგვისტოში თითქმის მთელი თვე ვიყავი, დროს ჩვეულებრივად ჰაერზე ვატარებდით და ამისათვის ვიყენებდით ხან ვერანდიან აივანს, რომელიც გადასცქერის ეზოს, სადაც წყაროა, ხან გრძელ აივანს გალერეით, რომელიც ბაღში გადის... და, აი, ბოლო დროს ვამჩნევდი, რომ თავადი ილია... ბაღის მხარე აივანს გაურბოდა. ის უხალისოდ გამოდიოდა იქ ჩემი თხოვნისა და იმის მიუხედავად, რომ ეზოს მხარის აივანზე ნესტი იყო... ამჟამად რომ ვიხსენებ ამ ფაქტს, ვფიქრობ, განსვენებულს ეშინოდა, ბაღიდან არ მესროლონო, რასაც, ბუნებრივია, არასოდეს არ აღიარებდა“.

ილიას ახალი მოურავის დიმიტრი ჯაშის მეუღლის – დარიას მოგონებით, ვიღაც ბოროტმოქმედებმა გაუგონარი სისასტიკით მოჰკლეს ილიას საყვარელი ცხოველი – ინგლისური ჯიშის ჯორი, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მოჰკლეს ილიას მიერ საჯიშედ შეძენილი გერმანული ჯიშის ძროხა, რომელიც დღეში ოც ლიტრას იწველიდა – მისთვის ძუძუები მოეჭრათ. ცხადი იყო, ეს ილიას სამტროდ გააკეთეს ბოროტმა ადამიანებმა.

მოურავის მკვლელობის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გააძლიერა ილიას სახლ-კარის დაცვა. მაგრამ უბედურება მაინც მოხდა.

ესაუბრა
**მაია თუნგია**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



კრიმინალი



## ალარც უმცროსი, ალარც უფროსი...

ის, რომ ხალხი და დრო გადაგვარდა, უფროს-უმცროსობამ ფასი დაკარგა, ამას მტკიცება აღარ ესაჭიროება, მაგრამ თუკი ამისთანა ამბავიც მოხდებოდა, სოფელში ვერავინ ვერ წარმოიდგენდა. 3 სექტემბერს გამთენიისას დააკავეს სოფელ ქებოტაში (თიანეთის რაიონი) მცხოვრებნი, უკვე გადამთვრალნი 1977 წელს დაბადებული მამუკა მუხიდინოვი და 1969 წელს დაბადებული გიორგი მათურელი. მათ ბლაგვი საგნის თავში ჩარტყმით საკუთარ ეზოში მოკლეს თანასოფლელი 81 წლის ზინა ბესელია. თუ რატომ მივიდნენ ახალგაზრდები ასეთ გადაწყვეტილებამდე, პროკურატურა დაადგენს.

## სიკვდილი... ლიფტით?!

3 სექტემბერს 12 საათზე მეტროპოლიტენის სამმართველოს შენობის მესამე სართულიდან ლიფტის შახტში ჩავარდა და გარდაიცვალა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ფარცხმაში მცხოვრები დავით ცინცაძე. ტყუილად კი არ ეშინიათ ლიფტით მგზავრობისას ვილაც-ვილაცეებს, თურმე, სიკვდილი ლიფტშიც წამოგვეწევა...

## დამნაშავე დააკავეს

4 სექტემბერს 18 საათზე რესპუბლიკის მოედანზე თბილისის საგზაო პოლიციის სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი, თბილისელი 1979 წელს დაბადებული რატი თევზაძე, რომელმაც შეკამათების დროს გულმკერდის არეში დანით დაჭრა თბილისელი 1981 წელს დაბადებული გიორგი ბერძენიძე, დაჭრილი მეცხრე საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

გამოძიებას აწარმოებს ქალაქის პროკურატურა.

## ჯარიმაც ასეთი უნდა!

დააკავეს თბილისელი 1963 წელს დაბადებული ედუარდ კარაპეტიანი, რომელიც „პრიხოდში" ანუ ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მაგრამ დიდუბის რაიონის სასამართლომ მას მხოლოდ ჯარიმა – 75 ლარი აკმარა.



## ასეც ხდება, ისეც ხდება...

3 სექტემბერს ეროვნული ზარაფხანის მომარაგების ცენტრალური საწყობის გახსნისას, სადაც გერმანიის ფირმა „პერეუსში" გადასამუშავებლად გასაგზავნი ოქროს შემცველი ნარჩენები გროვდებოდა, აღმოჩნდა, რომ საწყობი დაუდგენელ პირებს გაექურდათ. მართალია, საწყობი დაცვის ქვეშ არ იმყოფებოდა, მაგრამ საინტერესოა, რომ საწყობამდე „უცხო პირებმა" მაინც როგორ შეაღწიეს. ბოროტი ენები ამბობენ, რომ წაღებულია 160 კგ. ოქროს შემცველი ნივთიერებაო, მაგრამ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები არ ამბობენ სინამდვილეს, რადგან გამოძიებაში შეიძლება ხელი შეგვეშალოსო. ვეძებეთ და კომპეტენტურ პირს ვერ მივაკვლიეთ – ყველა სხვისკენ გვითითებდა... იმედია, მომავალ ნომერში მაინც მივაღწევთ მიზანს და მკითხველებს რაიმეს ვამცნობთ, მკითხველს, რომელიც ალბათ, ირონიულად იღიმება: ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდებაო... ქირქილებს.

მოამზადა
**მაია სალირაშვილმა**



# უხელ-ფეხოდ დამწვარი გვამის კვალდაკვალ

1992 წლის გვიანი შემოდგომა იდგა. ნოემბერი დღეებს ითვლიდა და სუსხიც ნელ-ნელა ეპარებოდა ქალაქს.

კუკიის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია ბენზინის სუნმა გააბრუა.

წამიც და... უკუნი ღამის სასაფლაოს სამარისებური სიჩუმე უეცრად ავარდნილმა ალმა და უცნაურმა ტკაცუნმა გაკვეთა. ცეცხლმა თავისი „მსხვერპლი" „გულში" ჩაიკრა, მისი პირველი „ფენა" წამიერად შთანთქა და ცეცხლის ენებში „მომწყვდეული" ქალის უხელ-ფეხო გვამი დაილანდა. ჰაერში ადამიანის დამწვარი ხორცის შემზარავი სუნი დატრიალდა – გვამი კი თითქოს, თავის ხვედრს შეგუებოდა, მშვიდად, შიშინით იწვოდა.



ორი დღის შემდეგ აღმოაჩინეს „ცხოველთა და ნადირთა" მიერ დანაწევრებული ლია მაისურაძის გვამი. ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღის წინ მატარებლით მგზავრობისას, როგორც ხშირად ხდება ხოლმე თანამგზავრებში, ნუგზარ ალოიანი გაიცნო, ახალგაზრდებს შორის კეთილმოსურნე და სანდო ატმოსფერო წარმოიშვა, დაახლოებაც ისურვეს და ერთ მშვენიერ დღეს ნუგზარმა ლია სიძის ბინაში მიიპატიჟა. საოცრად მიმნდობსა და ეჭვის გრძნობამოკლებულ „სტუმარს" ხელჩანთაში 15 ათასი მანეთი ჰქონდა. რა თქმა უნდა, ამის შესახებ მისმა „მეგობარმაც" იცოდა და მეგობრის სიძემაც – ალიკა მირზოიანმა.



სტუმარ-მასპინძელი კარგად შექეიფიანდა. ალიკამ ცოლისძმას გამჭვირვალე სითხე, ვითომდა, ძილის წამალი მისცა და უთხრა, რომ „სტუმრისთვის" შეუმჩნევლად ჩაესხა კონიაკის ჭიქაში. ასეც მოხდა და „სტუმარი" უმალ სკამიდან გადმოვარდა. მოკვდაო, დაუსკვნია ალიკას, რომელმაც გვამი ყავისფერ „ოდეალოში" გაახვია და მანქანის მოსაყვანად გაიქცა. ერთ საათში გვამი უცნობის თეთრ 06 მარკის ავტომანქანაში მოათავსეს და კუკიის სასაფლაოს მიმართულებით წავიდნენ, თან ალიკამ ბენზინით სავსე ბოთლი წაიყოლა. მოხუც, სათვალიან მძღოლს გასამრჯელოდ ორი ათასი მანეთი უბოძეს და უკან გამოისტუმრეს. ალიკამ ფიჩხები მოაგროვა, გვამს ბენზინი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა...

„თანამოაზრეებმა" საშინელ სუნს დიდხანს ვერ გაუძლეს და ცეცხლმოკიდებული გვამი, ჯერ ნუგზარმა, შემდეგ ალიკამ, რიგრიგობით მიატოვეს. ესეც ასეო და, დანაშაულისგან ხელ-პირდაბანილმა სიძე-ცოლისძმამ ლია მაისურაძის კუთვნილი 15 ათასი მანეთი შუაზე გაიყო.

* * *

აი, ეს გახლავთ სიუჟეტი მკვლელობისა, რომელიც მოხდა და საქმეზე დანიშნულმა გამოძიებამ გამოიკვლია. გამოძიებამ ნუგზარ ალოიანს წაუყენა ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლის პირველი პუნქით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ანგარებით), 152 მუხლის პირველი ნაწილით (ყაჩაღობა მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით პირთა ჯგუფთან ერთად წინასწარი შეთანხმებით) და 212 მუხლით (მოქალაქის კუთვნილი დოკუმენტის გატაცება).

აღნიშნულ სსკ 104 მუხლის პირველი ნაწილის ბრალდებაში, ალოიანმა თავი დამნაშავედ კატეგორიულად არ ცნო და განმარტა, რომ, მართალია, იგი იცნობდა ლია მაისურაძეს, მაგრამ მის მიმართ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, მით უმეტეს, იგი არ მოუკლავს, რაც შეეხება საქმეში არსებულ აღიარებით ჩვენებას, მიღებულია ეჭმიტანილად დაკითხვისას უკანონოდ, იძულებით, მილიციის მუშაკების მხრიდან ცემის შედეგად.

სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია, რომ წინასწარ გამოძიებას არ შეუმოწმებია საქმეში არსებული ის აქტი, რომელშიც ჩუღურეთის რაიონის პოლიციის მუშაკი განმარტავს, რომ გლდანის პოლიციის მეთოთხმეტე განყოფილებიდან გადმოყვანილ ალოიანს აღენიშნებოდა დაზიანებები, სიარული უჭირდა, რაზედაც განაცხადა, რომ სიმაღლიდან გადმოვარდა. სად, რომელი სიმაღლიდან, უცნობია, მაშინ, როცა ალოიანი სასამართლო სხდომაზე კატეგორიულად უარყოფს აღნიშნულს და აცხადებს, რომ პოლიციელებმა იგი სასტიკად სცემეს, თანაც [illegible] ლობა, – შემოწმებულიყო მისი ჯანმრთელობა, გამოძიებამ მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დააკმაყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ალოიანი სასამართლევია გაუპატიურების მცდელობისათვის, წინასწარ გამოძიებას სრულყოფილად არ გამოურკვევია მისი პიროვნება და არ დაუდგენია, თუ რა მიზნით „მიიპატიჟა" ლ.მაისურაძე – მხოლოდ 15 000 მანეთის დაუფლების მიზნით თუ უფრო სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის განზრახვით. გამოძიებას არ უმსჯელია, ხომ არ ჰქონდა ადგილი მაისურაძის გაუპატიურებას და შემდგომში ამ დანაშაულის დაფარვის მიზნით განზრახ მკვლელობას.

გარდა ამისა, თავდაპირველი ბრალდებისაგან განსხვავებით, საბოლოო ბრალდებაში ამოღებულია ალოიანისა და მირზოიანის მიერ მაისურაძის გვამის დანაწევრების ფაქტი (დანაწევრება „ცხოველებსა და ნადირებს"... ბრალდებათ). სასამართლოსთვის გაუგებარია, თუ რომელ „ნადირზეა" საუბარი თბილისში, როცა შემთხვევის ადგილას აღმოაჩინეს სხეული ზედა და ქვედა კიდურების გარეშე. გამოძიებას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, მირზოიანის ბინაში გობელენის ნაჭერზე აღმოჩენილი სისხლის კვალისთვის, რომელიც ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ჯგუფობრივად ლია მაისურაძის სისხლის ჯგუფს მიეკუთვნა.

აღსანიშნავია, რომ პროკურორმა და დაზარალებულის ინტერესების დამცველმა სსკ 104 მუხლის I პუნქტით წარდგენილ ბრალდებაზე საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება, ხოლო ალოიანის ინტერესების დამცველთა ამ ბრალდების მიმართ საქმის წარმოებით შეწყვეტა მოითხოვეს. სასამართლო კოლეგიამ, მოსამართლის ვახტანგ წულაძის თავმჯდომარეობით, შეუძლებლად ჩათვალა წინასწარი და სასამართლო გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე განაჩენის დადგენა აღნიშნული მუხლით და მოითხოვა ამ ნაწილით საქმის გამოყოფა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

მოცემული საქმიდან არასწორად არის გამოყოფილი სისხლის სამარლის საქმე ა. მირზოევის მიმართ, სსკ 104 მუხლის I პუნქტით, რომელიც არ დანომრილა. ამასთან, მირზოევის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის მის მიმართ გამოტანილ ძებნის გამოცხადებასა და აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის შერჩევის დადგენილების რეალიზაციისთვის გაწეული საქმიანობის შესახებ საქმეში არაფერი ჩანს. ამდენად, სასამართლო თვლის, რომ დამატებითმა გამოძიებამ დააწესოს კონტროლი მირზოევის მიმართ ძებნის გამოცხადების დადგენილებაზე, რადგან მის დაკავებასა და დაკითხვებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქმისთვის. გარდა ამისა, დაზარალებულის, ლია მაისურაძის მამის – შალვა მაისურაძის ნაცვლად საქმის მასალებს გაეცნო მოწმის სახით გამავალი გია მაისურაძე, რის გამოც დაირღვა დაზარალებულის კანონიერი უფლებები...

*ჩვენ არ ვიცით, ვინ, რა ქვენა გრძნობებითა და რატომ იმოქმედა ასეთნაირად, ჩვენ მხოლოდ ფაქტებს ვაწვდით მკითხველს და კომენტარიც მისთვის მიგვინდია. ერთი კი აღსანიშნავია, ხშირად ხდება, რომ ადამიანი სხვის თვალში ბეწვს ხედავს, საკუთარში კი დირესაც ვერა. ღმერთმა დაგვიფაროს, ამ შემთხვევაში სასამართლოს ვგულისხმობდეთ – მან ხომ მხოლოდ საქმის მიხედვით გამოიტანა დასკვნები და შედეგიც სახეზეა – ნუგზარ ალოიანის მიმართ სსკ 104 მუხლს პირველი პუნქტით წაყენებული ბრალდება სასამართლო გამოძიებით არ დადასტურდა და საქმე დამატებით გამოძიებას დაუბრუნდა, რის შემდეგაც საქმე ამ ნაწილში შეწყდა.*

*მართალია, მიცვალებულს აღარაფერი ეშველება, მაგრამ უდანაშაულო კაცის დასჯა, თუკი ის მართლა უდანაშაულოა, უფრო მეტი დანაშაულია სიმართლე კი ჯერჯერობით მხოლოდ უფალმა იცის და დღეს თუ ხვალ ყველას თავისას მიუზღავს...*

**მაია სალირაშვილი**

## მოქანდაკეთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი თბილისში

# აბსტრაქცია ცეცხლით

რას გააკეთებს უხეში ქვისგან თანამედროვე მოქანდაკე? რა როლს ასრულებს დღეს პლასტიკური ხელოვნება? არის თუ არა ხელოვანი პირისპირ თავის შემოქმედებასთან? – მსგავს კითხვებზე პასუხი უთუოდ საინტერესოა ხელოვნების მოყვარულთათვის, ვისთვისაც ინფორმაციის ვაკუუმისა და სრული უკრიტერიუმობის გამო ძნელია თანამედროვე კულტურულ მოვლენებში ორიენტირება.

არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ დღეს ასეთი კითხვები ისმება. მსოფლიო ჰუმანისტური იდეები, თანამედროვე აზროვნების სიღრმისეული პლასტები ძნელად თუ შეიმჩნევა დღევანდელი ჩვენი პლასტიკური ხელოვნების, შესაძლოა ფორმით საინტერესო, ნიმუშებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელოვნების მოყვარული მოკლებულია სიღრმისეულ განცდებს, რაც ხელოვნების ნიმუშთან ზიარების უმთავრესი საიდუმლოებაა.

წამოჭრილ კითხვებს, იმედია, უპასუხებს ახალგაზრდა ქართველ მოქანდაკეთა წამოწყება – თბილისში ქანდაკების მუზეუმ-პარკის შექმნა, რაც თბილისის მოქანდაკეთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის მიზანს წარმოადგენს.

სიმპოზიუმი, რომელიც კულტურის ფონდის ტერიტორიაზე, კუს ტბის შესახვევის №2-ში მიმდინარეობს, 18 აგვისტოს გაიხსნა და სექტემბრის შუა რიცხვებამდე გასტანს. მისი ორგანიზატორები არიან: საქართველოს კულტურის ფონდი და ორგანიზაცია „KULTURschmiede“ (ავსტრია). ღონისძიება ტარდება ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ავსტრიის კანცლერის კულტურის განყოფილების „KulturKontact“-ის, საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის, ფირმა „BEROLINA“-ს, ფირმა „BOSCH“-ის წარმომადგენლობის მხარდაჭერით. სიმპოზიუმში 15 მოქანდაკე მონაწილეობს. მათგან 5 ავსტრიის მოქალაქეა: გეპარდ შაცი, ემილ კრალოვსკი, მარკუს როსკარი, ივან ელიზაბეტი, ბეროც პეშმატი. ქართველი მოქანდაკეებიდან: ქართული მოდერნისტული ქანდაკების ლიდერები გენო ზაქარაია და ჯონი გოგობერიშვილი, გიორგი ოქროპირიძე („KULTURschmiede“-ს დამაარსებელი, სიმპოზიუმის ერთ-ერთი ორგანიზატორი), დავით კაკაბაძე, ლევან სალუქვაძე, სტუდენტი-ასპირანტები: ზაზა ლექავა, გიორგი ირემაშვილი, ზეზვა ქურდიანი, გიორგი ჭანკოტაძე, ვახტანგ ბულაძე.

### შეიძლება თუ არა მოქანდაკე თავისუფალი არ იყოს

„დავით კაკაბაძე – თავისუფალი მოქანდაკე“, „ლევან სალუქვაძე – თავისუფალი მოქანდაკე“ – ასე გაგვაცნეს თავი მოქანდაკეებმა და ჩვენთვის ყველაფერი გასაგები იყო – სიტყვაში „თავისუფალი“ იგულისხმებოდა ის, რომ მათი შემოქმედება გარკვეულ ჩარჩოებში არ თავსდება; იგულისხმებოდა ხელოვნებაში ქანდაკების ენით თანამედროვე აზროვნების გამოჩენის სურვილიც (ქართული ქანდაკების სკოლის უმდიდრესი ტრადიციები ამის საფუძველს ნამდვილად იძლევა). ამიტომაც არ შემოიფარგლა სიმპოზიუმი გარკვეული თემით. რადგან ფორმით თავისუფალი ინტერპრეტაცია, რის საშუალებასაც იძლევა სკულპტურული თემის თავისუფალი არჩევანი, არ ზღუდავს შემოქმედს და მხატვრული ფანტაზიის მაქსიმალური გამოვლენის საშუალებას იძლევა.

*ლევან სალუქვაძე: „აქ ყველაფერი ნებაყოფლობითია. თემა თავისუფალია. პლასტიკური აზროვნების შესაძლებლობები უსაზღვროა. იქნება ფიგურატიული კომპოზიცია, ტორსი, მოდერნისტური კომპოზიციები“....*

***„მხატვარს ძალუძს, საჩინო გახადოს ის, რაც უჩინარი და უსახური ჩანდა“.***

თანდათან იკვეთება კონტურები, უსახური ქვა საჩინო ხდება და ქვაში ცოცხლდება გარდასახული სამყარო თავისი ფერებისა და ხმების სიმდიდრით. სკულპტურებს საბოლოო სახე ჯერ არ




მიუღიათ, მაგრამ უკვე შეინიშნება ახალი ფორმების ძიება და მოულოდნელი კომპოზიციური გადაწყვეტა.

*გენო ზაქარაია* (გვთავაზობს სრულიად ახლებურ კომპოზიციას) „ასეთ რამეს პირველად ვაკეთებ. ზოგჯერ თავად ქვის ფორმა გკარნახობს თემას. შეიძლება სულ სხვა რამ გქონდეს ჩაფიქრებული, მაგრამ მუშაობის პროცესში სხვა ემოცია დაიბადოს და თემაც სხვა კუთხით განავითარო. ნამუშევარს, ალბათ, დაბადებას დავარქმევ“.

*ჯონი გოგობერიშვილი* (ფორმის პლასტიკური გრძნობა, შერწყმული ოსტატობასთან, უთუოდ საინტერესო სახეს შემოგვთავაზებს): „ქვის ფორმა თავად ბადებს თემას. თავისუფალი ინტერპრეტაცია ქმნის პლასტიკური აზროვნების შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინების საშუალებას“.

### აბსტრაქცია ცეცხლით

სტუმართაგან თითქმის ყველა აბსტრაქტულ კომპოზიციებზე მუშაობს. ქვისა და ცეცხლის [illegible] [illegible] ორიგინალური [illegible] [illegible] კომპოზიცია [illegible] [illegible] ბული ღრმულებიდან ამოტყორცნილი ცეცხლის ალებით დამშვენებული სკულპტურა მოქანდაკის ჩანაფიქრს, ალბათ, სრულყოფილად წარმოაჩენს.

### კუს ტბის შესახვევი № 2

სიმპოზიუმი გრძელდება. თანდათან ხორცს ისხამს ჩანაფიქრი. სულ მალე თბილისს კულტურის ახალი კერა შეემატება. ახალგაზრდა მოქანდაკეების სურვილიც ეს არის – ქართული კულტურის განვითარებაში წვლილის შეტანა.

მსგავსი სიმპოზიუმი ყოველწლიურად გაიმართება, ტრადიციად იქცევა, გაფართოვდება კონტაქტები, თუკი კვლავაც გამოჩნდებიან მხარდამჭერნი და ხელშემწყობნი, ვის გარეშეც, ალბათ, გაჭირდებოდა ახალი, მნიშვნელოვანი საქმის წამოწყება. სიმპოზიუმის მონაწილენი განსაკუთრებით აღნიშნავენ ბატონ მერაბ ბერძენიშვილის დიდ ძალისხმევასა და ხელშეწყობას. ყველაზე დიდი საჩუქარი კი მოქანდაკეთათვის იისფერი ბოლნისური ტუფის ოცამდე ქვაა, რომელიც მათ სააქციო საზოგადოება „ბოლნისის ტუფმა“ (დირექტორი ალიოშა კაპანაძე) უსახსოვრა. სამუშაო იარაღითა და ტექნიკური მოწყობილობებით კი სიმპოზიუმის მონაწილენი ფირმა „ბეროლინამ“ მოამარაგა...

კუს ტბის შესახვევი № 2 იმედია, თბილისის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად, დასვენებისა და ქანდაკების ენით ტკბობის საშუალებად გადაიქცევა.

სასურველი იქნება, თუ ეს უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში უკვალოდ არ ჩაივლის, ხელოვნებათმცოდნეების სათანადო შეფასების, კლასიფიკაციისა და გარკვეული კრიტერიუმების შექმნის გარეშე.

**მაია ტაბიძე**

## გასტროლები

# „კლდეკარის“ მოგზაურობა

ბავშვთა ცეკვის ანსამბლი „კლდეკარი“ იმყოფებოდა რუმინეთში — ყოველწლიურ ნაციონალურ, კატალონას სახელობის ფესტივალზე სადაც თავისი ცეცხლოვანი ცეკვებით საკმაოდ მოხიბლა მაყურებელი.

რუმინეთში მიღებულ საგასტროლო შთაბეჭდილებებს გვიზიარებს ანსამბლის ახალგაზრდა ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი ჯუმბერ ცუცქირიძე:

— ჩვენს ყოველ კონცერტს ოვაციით ხვდებოდნენ და შემდეგ დარბაზი თანდათან ცარიელდებოდა. ეს არ გამორჩენიათ ფესტივალის ორგანიზატორებს და სხვა დღეებში პროგრამის ბოლოში ჩაგვსვეს. ჩვენს გამოსვლებს პრესაც გამოეხმაურა და ტელევიზიაც.

მონაწილეთა შორის ჩვენი ბავშვები ასაკით ყველაზე პატარები იყვნენ, მაგრამ თითქმის ყველა კარგად გამოვიდა, ქეთი ჭკუასელი და ჯაბა სადუნაშვილი — ეს წყვილი განსაკუთრებით გამოირჩეოდა.

საყურადღებო იყო ისიც, რომ საფესტივალო სვლას ჩვენი ანსამბლი მიუძღოდა წინ, მედოლე ავთო პაქსაშვილთან ერთად.

ოქტომბრის დასაწყისში „კლდეკარი“ მიწვეულია მაკედონიაში, იმდენად მოსწონს მაყურებელს ეს ნიჭიერი და მზარდი კოლექტივი.

**დოდო ზურაბიშვილი**

*სურათზე: ცეკვავს ანსამბლი „კლდეკარი“.*



# ავარიულ ჯიხურთან მოთამაშე ბავშვები – მოსალოდნელი უბედურება

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ივლისის თვეში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ პუბლიკაციაში შევეხეთ მერაბ კოსტავას თეატრის პრობლემებს და მათ შორის, თეატრის შენობაში განთავსებული ელექტროჯიხურიც ვახსენეთ... ეტყობა ან სიმწვავე დავაკელით ხსენებულ მასალას, ან თელასის მესვეურთა ყურამდე მიზეზთა გამო ვერ მიაღწია ამ ინფორმაციამ, თუ რა იყო – პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება, – ელექტროჯიხურის სახით, რომელიც თავისი ავარიულობის გამო შეიძლება იქვე მოთამაშე ბავშვებისთვის საფრთხედ იქცეს და დიდი უბედურება დაატრიალოს.

ჩვენ ახლა უკვე პირდაპირ მივმართავთ თელასის ხელმძღვანელობას და მის მუშაკებს: თუ მერაბ კოსტავას თეატრის კეთილდღეობას არად აგდებთ, იქნებ შეიბრალოთ ის ადამიანები (მოთამაშე ბავშვები იქნება ეს, თუ სხვები, უბრალოდ იქ გარშემომყოფნი), იმათგან ზოგიერთმა შეიძლება არც კი იცის, რა საფრთხის წინაშე დგას, თუ ეს დანგრეული ელექტროჯიხური თავის მავნებლობას ერთ მშვენიერ დღეს დაადასტურებს და წლების წინათ ისნის რაიონში მომხდარი აფეთქების რეციდივს გაიმეორებს, რაც მაშინ თბილგაზის თანამშრომელთა უგულისყურობითა და უყურადღებობით მოხდა, დღეს შეიძლება თელასმა დაამატოს თავისი გულგრილობითა და უინტერესობით, და გამო[...] წორებელ საქმეთა ნუსხას კიდევ ერთი „საგ[...]რო“ ფურცელი შემატოს.

ღმერთმა ქნას, რომ ასე არ მოხდეს;

თუ ყრუ კედელში მართალი სიტყვა ვერ მ[...] ღწევს, იქნებ ადამიანებში ღვთის მიერ ჩადე[...]ლმა თავდაცვის ინსტინქტმა მაინც გაიღვი[...] და გვიკარნახოს მიზანშეწონილი მოქმედება[...]

**მიმოზა კვირკვ[...]**

## რეპლიკა



სოფელ გლდანში იყიდება ორსართულიანი სახლ-აგარაკი, 9 მეასედი მიწის ფართით, ხეხი[...] ბაღით. ფასი შეთანხმებით. ტელ.:66-47-23.

* * *

დიდ დიღომში იყიდება – 1 მიკრორაიონში (პეტრიწის ქ. № 12, 3 სადარბაზო, მე-10 სართული) ორ[...]თახიანი ბინა კოსმეტიკური რემონტით. აქვს რკინის კარები და სარდაფი. ფასი 9000 დოლარი. ტ[...] სახლის 53-48-48, სამსახურის 36-87-28 იკითხეთ ნუნუ.

* * *

ავეჯი – საძინებელი, ზალა, – სამზარეულო – 14.000 დოლარი. ტელ:36-87-28 იკითხეთ ნუნუ.

* * *

სერტიფიცირებული საგვარეულო მცენარეული პრეპარატით „პლანტა“ ემკურნალობ: ღვიძლ[...] ფარისებურ ჯირკვლებს (ლიმფ დენიტი, ჩიყვი), ბრონქიტს, პლევრიტს, გინეკოლოგიურ დაავად[...] კლიმაქსურ გართულებებს, ალებს, ნერვულ სპაზმებს და სხვა. შაქრიან დიაბეტს ინსულინის არამ[...] მარებლებისათვის, სახსრებს (ართროზი), კუჭ-ნაწლავის დაავადებებს.

მისამართი: ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის) ქ. № 16. ინფექციური საავადმყოფო ფიზიოთერაპ[...] განყოფილება.

ტელეფონები: 39-49-56

ენვერ რამიშვილი. 12-დან 14 საათამდე.

## მოსაზრება

**1997 წლის 29 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტი ბატონი ე.შევარდნაძე შეხვდა საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ბანკების ასოციაციისა და კომერციული ბანკების ხელმძღვანელებს. შეხვედრა მიეძღვნა საქართველოს ეკონომიკის საბანკო სექტორში არსებულ სიტუაციას, აქ მიმდინარე პროცესებს. ამ შეკრებაზე დადებით მომენტებთან ერთად გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები საბანკო სისტემაში მიმდინარე რეფორმების ზოგიერთ საკითხზე. დღეს ვაქვეყნებთ საქართველოს ბანკების ასოციაციის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ბატონ მურად ნარსიას მოსაზრებებს ერთ-ერთ საკითხზე, რომელიც დაფიქსირებულ იქნა ქვეყნის პრეზიდენტთან ბანკირების შეხვედრისას.**



# საქართველო აღარ იქნება ბანკების ქვეყანა






საბანკო სისტემა, როგორც წესი, ძალიან მგრძნობიარეა ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესისადმი და მით უმეტეს, იმ ნორმატიული აქტების მიმართ, რომლებიც ბანკების საქმიანობას შეეხება. დღეს თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ერთ-ერთ ნორმატიულ აქტზე, რომელმაც შეძრა საქართველოს საბანკო სისტემა. ამ დოკუმენტის მზის სინათლეზე გამოსვლას მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ეფექტი ჰქონდა. ჩემდა გასაოცრად, ამ ნორმატიული აქტის მავნებლობაზე, საქართველოს ასოციაციის გარდა, სხვას დღემდე ხმა არ ამოუღია, მათ შორის, მათაც კი, ვისაც უშუალოდ შეეხო იგი. ეს მაფიქრებინებს, რომ საბანკო სისტემას, მასში შემავალ კომერციულ ბანკებს, ეროვნული ბანკისადმი მონური მორჩილების სენი შეპყრია და სანამ იგი ქრონიკულ სტადიაში შევა, ეტყობა სერიოზული, თან დროული მკურნალობა სჭირდება. ამ სენს საზრდო არ უნდა მივცეთ, რადგან ეს მონური მორჩილების წაქეზებასა და გამრავლებას, ამ სენის მოქმედების არეალის გაფართოებას მოასწავებს.

მხედველობაში მაქვს საქართველოს ნორმატიული აქტის რეგალიებით მოსილი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1997 წლის 31 მაისის № 5 ბრძანება „საქართველოს კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ", რომლის მიხედვითაც საქართველოს საბანკო სისტემაში შემავალი კომერციული ბანკებისათვის მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება 5 მლნ ლარით.

პირდაპირ ვიტყვით – ეს ბრძანება არის საქართველოს საბანკო სისტემაში შემავალი მცირე ბანკებისათვის ლიკვიდატორული მუხტის მატარებელი, – საკმაოდ სწრაფი მოქმედების ნაღმი, რომლის მიზანია ჯანსაღი კომერციული ბანკების სასაფლაოს ორგანიზება – შესაბამისი სოციალური, ეკონომიკური და, თუ გნებავთ, პოლიტიკური შედეგებით.

აღნიშნული დასკვნის საფუძველი ნამდვილად მაქვს, რომლის ძირითად ნაწილზე, ოღონდ მოკლედ, ახლავე მოგახსენებთ.

ამ ბრძანების, ანუ ნორმატიული აქტის საფუძველი უნდა ყოფილიყო: 1. ეკონომიკური მიზანშეწონილობა ანუ ადეკვატურობა; 2. საერთაშორისო პრაქტიკა და მსოფლიოს საბანკო სისტემებში აპრობირებული კლასიკური ნორმები; 3. მორალური და პოლიტიკური ასპექტები; 4. მყარი სამართლებრივი ბაზა;

1. ეკონომიკური მიზანშეწონილობა: ამ თვალსაზრისით ჩვენ შევისწავლეთ საქართველოს საფინანსო ბაზრის პარამეტრები, მონეტარული მიმოხილვის მასალები, ქვეყნის საბანკო სისტემაში შემავალი ბანკების აქტივები და პასივები, მათი სტრუქტურა, მაგრამ ვერსად აღმოვაჩინეთ ბანკების საწესდებო კაპიტალის ამ მასშტაბით ზრდის შიგა რეზერვების შესაძლო წყაროები. 2005 წლამდე ახეთი რეზერვების „ამოხეთქვის" სიმპტომებიც კი არ არის. შემდგომ ავიღეთ და საქართველოს საფინანსო ბაზრის პარამეტრები შევადარეთ სხვა ქვეყნების შესაბამის პარამეტრებს – საოცარი სურათი მივიღეთ. მე მოგახსენებთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

ასე მაგალითად, თუ ავიღებთ ამერიკის საფინანსო ბაზრის ერთ-ერთ პარამეტრს – საბანკო აქტივებს, იქ იგი 1,5 მილიონი დოლარია, ჩვენთან კი – ბანკების საკუთრებაში არსებულ შენობებსაც თუ ჩავთვლით, 291 მლნ ლარია, ანუ 220 მლნ აშშ დოლარი. სადეპოზიტო ბაზრის პარამეტრების შედარებაც კი არ შეიძლება – ჩვენთან ბანკებში ვადიანი ანაბრები და დეპოზიტები 5,2 მლნ ლარია (ანუ 4 მლნ აშშ დოლარი), უვადოა ანაბრების ოდენობა საქართველოს ბანკებში – 7,8 მლნ ლარს (6 მლნ აშშ დოლარი) არ აღემატება და მათ შორის 4,7 მლნ ლარი (ანუ 60 პროცენტი) მემკვიდრეობით მიღებული გაერთიანებული ქართული ბანკის ბალანსზე დალექილი, დღეს უკვე თითოეული 5 თეთრად შეფასებული ანაბრებია. ჩვენი ექსპერტთა ჯგუფის გაოცება გამოიწვია საქართველოს ბანკებში ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებულმა ნაშთებმა, – იგი 41 მლნ ლარს არ აღემატება. საქართველოს საფინანსო-საკრედიტო ბაზრის დამახასიათებელი ყველა მაჩვენებლის ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ბატონმა ნ.ჯავახიშვილმა მთელი ეროვნული ბანკის ექსპერტები თანამედროვე გამადიდებელი ლუპით რომ შეაიარაღოს, ეროვნული ბანკის ზემოაღნიშნული ბრძანების ქვეყნის საფინანსო ბაზართან ადეკვატურობის ანუ ეკონომიკური მიზანშეწონილობის საფუძველს ვერაფრით იპოვის. ეროვნული ბანკის ეს ბრძანება ვერ ეზმება საქართველოს საფინანსო ბაზრის პარამეტრებს და ამდენად – არაადეკვატურია, თუმცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პარლამენტარებს ამას წინათ ძალიანაც კი არწმუნებდა ბანკების ბანკი მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას კი არა, ადეკვატურ პოლიტიკას ატარებსო.

ვფიქრეთ, ეროვნული ბანკის ამ ბრძანების შექმნას იქნებ საწესდებო კაპიტალის მოსალოდნელი კონცენტრაციის მოტივი ამოძრავებდაო და დავიწყეთ გაუქმებული ბანკების საწესდებო კაპიტალის მოძრაობის სქემის შესწავლა. შედეგებმა საბანკო კაპიტალის მეტისმეტად კონცენტრაციის იმედიც ამოგვიწურა.

2. საერთაშორისო პრაქტიკა და მსოფლიო საბანკო სისტემაში აპრობირებული კლასიკური ნორმები.

მსოფლიო საბანკო სისტემის ფუნქციონირების პრაქტიკა მოწმობს, რომ კომერციული ბანკის საწესდებო კაპიტალს ძირითადად რისკებისაგან თავდაცვის მიზნით იყენებენ. სწორედ ამიტომ, ბანკების საწესდებო კაპიტალის სიდიდე ყოველთვის დაკავშირებულია ბანკის აქტივებთან, მის სიდიდესა და სტრუქტურასთან. თუ რა ზომის უნდა იყოს თანაფარდობა ბანკის საკუთარ კაპიტალსა და რისკთან დაკავშირებულ აქტივებს შორის, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში (თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტია) დისკუსიის საგანი იყო და არის ამჟამადაც ამერიკაში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიასა და ბაზელის კომიტეტში. ამ უკანასკნელის რეკომენდაციების შესაბამისად (მხედველობაში გვაქვს ბაზელის კომიტეტის 1997 წლის აპრილის სარეკომენდაციო ხასიათის წერილი) თითოეული ბანკისათვის საწესდებო კაპიტალის მინიმალური სიდიდე მარეგულირებელი (ანუ საკონტროლო) ორგანოს მიერ განსაზღვრული უნდა იქნეს ინდივიდუალურად დიფერენცირებული მიდგომისას გამოვლენილი მაჩვენებლების შესაბამისად. ასეთია **კლასიკური მიდგომა ამ საკითხისადმი, რომელიც გამორიცხავს ყველა ბანკის ერთ თარგზე გაკრეჭვის პრეცედენტს**. საზოგადოდ კი მიჩნეულია, რომ თანაფარდობა ბანკის საკუთარ კაპიტალსა და აქტივებს შორის უნდა იყოს 8 პროცენტზე მეტი. ეს ნორმა საქართველოს ეროვნულ ბანკს უკვე გათვალისწინებული აქვს შესაბამის ნორმატიულ აქტში. ჩვენ დავინტერესდით, თუ რა მდგომარეობაა საქართველოს საბანკო სისტემაში ბაზელის კომიტეტის მიერ რეკომენდირებულ ე.წ. კუკის კოეფიციენტის დაცვის თვალსაზრისით და აღმოჩნდა, რომ ამ კოეფიციენტის სიდიდე I ვარიანტში 32,2-ია, ხოლო მეორე ვარიანტში 61,2. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მაჩვენებელი 4-8 ჯერ აჭარბებს კლასიკურ ნორმატივს ანუ საშიშროება ამ თვალსაზრისით დღეს და კიდევ 5 წელს მაინც არ არის.

ბაზელის კომიტეტის 1997 წლის აპრილის სარეკომენდაციო წერილიდან ირკვევა, რომ არც მსოფლიოს ცნობილ ინტელექტუალურ ბანკირთა საკრებულო ყოფილა დაინტერესებული მცირე ბანკების ლიკვიდაციით. მაშინ ისმის კითხვა – რა ასულდგმულებს, ანუ რას ეყრდნობა ეროვნული ბანკის № 5 ბრძანება? ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა აუცილებლად იტყვის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს ვეყრდნობოდით. სამწუხაროდ, ფორმალურად ეს მართლაც ასეა, რადგან სსფ-ის ბოლოს წინა მისიის რეკომენდაციებში აღნიშნულია: **სასურველია, საქართველოს კომერციული ბანკების მინიმალურმა საწესდებო კაპტალმა 2000 წლისათვის მიაღწიოს 4-7 მლნ ეკიუს.** ამ ჩანაწერის საფუძველზე ეროვნულ ბანკს შეუძლია განაცხადოს – აგერ, ხომ ხედავთ, 7 მლნ ეკიუ ჩამიწერეს, მაგრამ ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ და 5 მლნ ლარზე დავითანხმეთო. ფორმალურად ამაში თითქოს მართლაც არის ლოგიკა, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, სსფ-ის მისია თუ ვის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეიმუშავებს ხოლმე რეკომენდაციებს ამა თუ იმ საკითხზე, განსაკუთრებით საბანკო სექტორზე. სსფ-ის რეკომენდაციებში აღნიშნული ჩანაწერების გაჩენას შესაძლოა არც ჩვენების ლობიზმი დაჰკლებია. ჩვენ ხელთ გვაქვს ფაქტები, რომლებიც აშკარად ადასტურებენ, თუ რომელი ბანკების ლობი შეიძლება ყოფილიყო ეროვნული ბანკი, რომელთა მიმართ მთელი 1995 წლის განმავლობაში იჩენდა აშკარა მიკერძოებას. ამ ბანკებში არ იგულისხმება გაერთიანებული ქართული ბანკი და საქართველოს ბანკი, რომელიც არანაირად არ შეიძლება ყოფილიყო ლობიზმის მოქმედების ველში, ცნობილი გარემოებების გამო. აქ ძირითადად იგულისხმება ის ბანკები, რომელსაც ეროვნული ბანკი კანონის დარღვევით დიდი ოდენობის კრედიტებს აძლევდა და რომელთა განვითარების მაღალი ტემპის უზრუნველყოფისათვის შესაძლოა აუცილებელი იყო საბანკო სისტემის განთავისუფლება მცირე ბანკებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს სადეპოზიტო და საკრედიტო ბაზარი ძალიან ვიწრო იქნებოდა მათთვის. **აღნიშნულმა ინტერესებმა ვფიქრობ ეროვნული ბანკის № 5 ბრძანების ფორმა მიიღო, რომლითაც დასაბამი მიეცა საქართველოს საბანკო სისტემის მონაწილეთა მასობრივი ხასიათის ადმინისტრაციული ფილტრაციის პროცესს.** იმასაც ვფიქრობ, რომ საქართველოს საბანკო სისტემიდან მცირე კაპიტალისა და ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობის ბანკების ჯოხით განდევნა ლოგიკურად მიულებელი უნდა იყოს სსფ, ეროვნული ბანკისთვისაც და ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლებისათვისაც. **მით უფრო, რომ მცირე ბანკების ფენომენს განსაკუთრებულად უფრთხილდებიან ყველგან, მათ შორის გიგანტური საფინანსო ბაზრის მქონე სუპერბანკების ქვეყნებში: ამერიკასა და გერმანიაში.** მაგალითად, ამერიკაში ფუნქციონირებს 365 ბანკი, რომლის აქტივები 5 მლნ აშშ დოლარზე ნაკლებია (ე.ი. საწესდებო კაპიტალი საშუალოდ 400.000 აშშ დოლარს აღწევს). საზოგადოდ კი საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში ცნობილია, რომ მცირე ბანკები უმეტესად „საცალო მოვაჭრეები" არიან და სამომხმარებლო და იპოთეკურ სამრეწველო კრედიტებს გასცემენ. მათთვის დამახასიათებელია პერსონალიზება. ასეთ ბანკებში რამდენიმე პიროვნება მუშაობს, ბანკის ხელმძღვანელი ყველა თავის მუშაკს პირადად იცნობს. ამ ტიპის ბანკებიდან [illegible] გერმანიის ერთ-ერთ მცირე ბანკს „რაიფაიზენ"-ს (ამ ბანკმა ახლახან 100 წლის იუბილე იზეიმა), რომლის მოქმედების არეალი შემოიფარგლება ერთი სოფლით, სადაც 360 კაცი ცხოვრობს. გერმანიაში ასეთი ტიპის ბანკების შენარჩუნების აუცილებლობას განაპირობებს: ტრადიციები, კანონმდებლობა, ადგილობრივი საქმოსნების ინტერესები და ტრადიციული კლიენტურის სპეციფიური მოთხოვნილება მცირე ბანკის მომსახურებაზე.

ამერიკის მცირე ქალაქები ამაყობენ თავიანთი ქალაქის მცირე ბანკით და ძალიან განიცდიან მათი ავტონომიის ხელყოფის მცდელობასაც კი. როცა კი ავარდება ახალი ტალღა მათი მცირე ბანკის სხვა დიდ ბანკთან შეერთება – შერწყმის თაობაზე, იმავე წამს დიდი ხმაური იწყება – მთელი სიმძლავრით იწყებს მოქმედებას ჯანსაღი ლობიზმის მექანიზმი, რადგან ამერიკულ საზოგადოებას ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ დიდი ბანკის შემადგენლობაში მყოფი ფილიალი ცალკეული „წვრილი" კლიენტებისადმი ინტერესს კარგავს, რადგან მისი საქმიანობა, სათაო ბანკის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის შესაბამისად, ვიწრო ეგოისტური ინტერესების ჩარჩოებში ექცევა და ამის გამო, ნაკლებად ითვალისწინებს ამა თუ იმ ქალაქის თუ სოფლის კლიენტურის ინტერესებს. შედეგად უარესდება ტრადიციული კლიენტურის საბანკო მომსახურების ხარისხიც.

გერმანელები თვლიან, რომ ბანკის არსებობის მთავარი პირობაა არა ბანკის საწესდებო კაპიტალის სიდიდე, არამედ მისი საქმიანობის შედეგები, ლოგიკურად, საქართველოს საბანკო სისტემისათვის ასეთი მიდგომა მისაღები უნდა იყოს. მაგრამ კვლავ ვიმეორებ – გაოცებას იწვევს და სრულიად გაუგებარია, ჩვენთან რატომ უსპობენ არსებობის უფლებას მცირე კომერციულ ბანკებს. ბაზარი ისა, რომ წვრილი ბანკიც უნდა იყოს, საშუალოც, დიდიც და ძალიან დიდიც. ეს სიტუაცია, დაახლოებით ასეთ რამეს მაგონებს: საქართველოში ზოგს „ზაპოროჟეცი" ჰყავს საკუთრებაში, ზოგს ძველი „ვოლგა", ზოგს ახალი „ვოლგა", ზოგს „მერსედესი", ზოგს კი „ბმვ" – ერთ მშვენიერ დღეს კი ხელისუფლებამ გამოუშვას ნორმატიული აქტი ან კანონი, რომლითაც გვიბრძანოს: გინდათ თუ არ გინდათ, ყველამ მოიშორეთ სხვა მარკის მანქანები და „მერსედეს 600" მარკის მანქანებზე გადმოჯექითო, წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთ მაგისტრალზე მგზავრობის უფლებას არ მოგცემთო.

ჩვენ ეროვნული ბანკის მცირე კომერციული ბანკების საბანკო სისტემიდან ჩამოცილების მსგავსი პრაქტიკის გასაცნობად განვიზრახეთ შეგვესწავლა, რა ხდებოდა СНГ-ს სივრცეში. საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ სივრცეში შემავალ არცერთ სახელმწიფოს მსგავსი მასშტაბისა და შინაარსის ქირურგიული ჩარევის ოპერაცია ბანკების მიმართ არ განუხორციელებია, მათ შორის შუა აზიის ქვეყნებს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. ამას წინათ ქალაქ თბილისში სომხეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარემ ბაგრატ ასატრიანმა ინტერვიუში განაცხადა **„... ჩვენ კომერციულ ბანკებს არ ვუყენებთ მკაცრ მოთხოვნას საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებით. ამ კუთხით ჩვენ ბევრად უფრო ლიბერალურები ვართ, ვიდრე საქართველო, ჩვენთან ეს მაჩვენებელი განისაზღვრება 1 მლნ აშშ დოლარით და ისიც მხოლოდ 2000 წლისათვის".** ჩვენი ეროვნული ბანკი კი ბანკების ლიკვიდაციის განსაკუთრებული ჟინითაა შეპყრობილი და ამას წინათ, ბაზელის კომიტეტის რეგიონალური ჯგუფის სემინარზე სიამაყის გრძნობით აცხადებს – ორ თვეში ბანკების მესამედი გავაუქმეთო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## 8 სექტემბერი ორშაბათი

7.37 „ალიონი“ – საინფორმაციო მუსიკალური პროგრამა;
18.00. „მოამბე“ ;
18.25. ცეკვავს „მარტვილი“;
18.40. „ექიმის მოსვლამდე“;
18.50. „50/50“;
19.50. „რამპა“;
20.00. „მოამბე“;
20.35. „პროფილი“;
20.50. „ბასტი-ბუბუ“;
21.10. „კასანდრა“;
20.00. „ვესტნიკი“;
22.20. „ვიდეოპატრული – 02“;
22.30. პროგრამა „დღე“;
22.45. საფეხბურთო მიმოხილვა;
23.05. „ქართული ფილმი“ – მხატვრული ფილმი „კაცია ადამიანი?“;
23.50. „მოამბე“;
24.00. მხატვრული ფილმის გაგრძელება.

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“;
19.20. ზღაპრის ტელედარბაზი;
19.50. საქართველოს მოამბე;
20.00. მოსკოვი-თბილისი;
20.30. „პერიოდის გზა“;
21.20. ესტაფეტა;
21.30. არაჩვეულებრივი გამოფენა;
21.40. „ინფორმაცია მეორე არხი“, რეკლამა;
22.05. ამერიკული ფილმი „ოქროს თვალი“ პროგრამის დასასრულს მუსიკა.

18.00. კურიერი – საინფორმაციო გამოშვება;
18.15. „არ გეშინია სიბნელის?“;
18.440. მანუნა;
19.15. დოკუმენტური სერიალი;
19.40. სამხერთისაკენ;
20.35. „მეზობელი გოგონები“;
21.00. კურიერი;
21.30. ესპანური ფილმი „მკვლელობით კმაყოფილნი“;
23.05. „ლოს-ანჯელესის კანონი“;
23.55. კურიერი;
00.10. ამერიკული ფილმი „ღამის შერი“.

11.00. განვარჯიში;
11.30. მულტფილმები;
12.15. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი“;
12.30. დოკუმენტური ფილმი „ველური ბუნება“;
13.30. ამერიკული ფილმი „მხ დამე“;
15.00. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“;
15.30. მუსიკალურ-გასართობი პროგრამა;
17.00. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი“;
17.45. მულტფილმები.

18.05. До шестнадцати и старше;
18.30. Вокруг света.
19.20. "ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬБА";
20.10. Час-пик;
21.00. Программа В. Познера „МЫ“;
21.45. Спокойной ночи, малыши!;
22.00. Время;
22.45. 1.ѣ5 Адреса Москвы
0.20. Евгений Кисин;

## 9 სექტემბერი სამშაბათი

7.30. „ალიონი“;
9.00. „კასანდრა“;
18.00. „მოამბე“;
18.10. ანონსი:
18.15. „50/50“;
19.00. რეტროსპექტივა;
19.45. ლატარია „იბერია“;
20.00. „მოამბე“:
20.30. რეკლამა;
20.35. „პროფილი“;
20.50. „ბასტი-ბუბუ“;
21.10. „კასანდრა“;
22.00. „ვესტნიკი“;
22.20. „ვიდეოპატრული 02“;
22.30. „ასპარეზი“;
22.40. ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან. ილია ჭავჭავაძე 160 წელი“;
23.00. „კამერა ტონი“;
23.15. აბრამ ბაზელის სამყარო;
23.15. 45 წუთი;
24.10. „მოამბე“;
00.20. ამერიკული ფილმი „ღარვინის ხარი“.

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“;
19.20. მულტფილმები;
19.45. „გრაცია აეორობიკა“;
20.30. „პერიოდის გზა“;
21.10. დარბაზი;
21.30. „ობიექტივი – 25“;
22.25. ფრანგული ფილმი „ბურგუნდიის სამეფო კარის საიდუმლოება“.

18.00. „კურიერი“;
18.15. „არ გეშინია სიბნელის?“;
18.40. მანუნა;
19.15. დოკუმენტური სერიალი;
19.40. „სამხრეთისაკენ“;
20.35. „მეზობელი გოგონები“;
21.00. კურიერი;
21.30. „სარკმელი“ მხატვრული ფილმი „მილანი“;
22.50. „ლოს-ანჯელესის კანონი“;
23.40. კურიერი;
23.55. ამერიკული ფილმი „ოლისევსი.

11.00. განვარჯიში;
11.30. მულტფილმები;
12.15. „პოსტ-ფაქტუმი“;
12.30. დოკუმენტური ფილმი „ველური ბუნება“;
13.30. ამერიკული ფილმი „განგსტერული ომები“;
15.05. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“;
15.30. გასართობი პროგრამა:
17.30. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი“;
17.45. მუსიკა.

18.05. До шестнадцати и старше;
18.30. Вокруг света;
19.20. "ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬбА";
20.10. Час-пик;
21.00. Тема;
21.45. Спокойной ночи, малыши;
22.00. Время;
22.45. Михаил Улъянов и Евгений Матвеев в филъме „ДОМ В КОТОРОМ Я ЖИВУ";
0.35. Святослав Рихтер. С музикой наедине;
1.30. „Виртуалъная реалность";
2.15. Прес- Экспресс.

## 10 სექტემბერი ოთხშაბათი

7.30. „ალიონი“;
9.00. „კასანდრა“;
17.55. ფეხბურთი (საქართველოსა და იტალიის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები) შესვენების დროს „მოამბე“;
19.50. რეკლამა, ანონსი;
20.00. „მოამბე“;
20.30. პროგრამა „დღე“;
23.25. „კასანდრა“;
24.10. „მოამბე“;
00.20. ამერიკული ფილმი „სასიკვდილო იარაღი – 2“.

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“;
19.23. ზღაპრის ტელედარბაზი;
20.00. გოლი;
20.30. „პერიოდის გზა“;
21.10. პარალელი;
21.45. სიყვარულის ისტორია;
21.50. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“;
22.10. ქართული მხატვრული ფილმი „მოხეტიალე რაინდები“ დასასრულს მუსიკალური გადაცემა.

18.00. კურიერი;
18.15. „არ გეშინია სიბნელის?“;
18.40. მანუნა;
19.15. დოკუმენტური სერიალი;
19.40. „სამხრეთისაკენ“;
21.30. რუსული ფილმი „პრინცესა ცერცვის მარცვალზე“;
23.20. „ლოს-ანჯელესის კანონი“;
00.10. კურიერი;
00.25. ამერიკული ფილმი „ტეხი“.

11.00. განვარჯიში;
11.30. მულტფილმები;
12.15. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი“;
12.30. „ველური ბუნება“;
13.35. ამერიკული ფილმი „ღამის ცელა“;
15.10. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“;
15.30. გასართობი პროგრამა;
17.30. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ ფაქტუმი“;
17.45. მულტფილმები.

18.05. До шестнадцати и старше;
18.30. Вокруг света;
19.20. "ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬбА";
20.10. Час-пик;
21.00. Парижские Тайны". Элдара Рязанова;
21.45. Спокойной ночи малыши;
22.00. Время;
22.45. Ж.Болотова, Р. Адомаитис в филъме „ИЗ ЖИЗНИ ОТДЫХАЮЩИХ";
0.20. Всегда ваша Лариса Долина. концерт;
1.35. "Виртуальная реальность";
2.20 Волейбол. Чемпионат Европи;
2.50. Пресс-экспресс.



# კვირის ტელეპროგრამა

## 11 სექტემბერი ხუთშაბათი

7.00. „ალიონი“;
9.00. „კასანდრა“;
17.55. კალათბურთი (რუსთავის „აზოტი“ ესტონეთის „პსტონინ ტარხი“)
შესვენების დროს – „მოამბე“;
19.35. „მერიდიანი“;
19.55. „რამპა“;
20.00. „მოამბე“;
20.30. რეკლამა;
20.35. „პროფილი“;
20.50. „ბასტი-ბუბუ“;
21.10. ტელესერიალი „კასანდრა“;
23.30. ფრანგული ფილმი „განქითხვის დღე“;
23.50. „მოამბე“;
24.00. ფილმის გაგრძელება.

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“;
19.20. ზღაპრის ტელედარბაზი;
20.00. ბულარია;
20.30. „პერიოდის გზა“;
21.15. მეოთხე;
21.45. სარეკლამო ბლოკი და ინფორმაცია II არხი;
22.50. მხატვრული ფილმი „სულელად წყალწაღებულნი“, პროგრამის დასასრულს მუსიკა.

18.00. კურიერი;
18.15. „არ გეშინია სიბნელის?“;
18.40. მანუნა;
19.15. დოკუმენტური სერიალი;
19.40. „სამხრეთისაკენ“;
20.30. „მეზობელი გოგონები“;
21.00. კურიერი;
21.30. ქართული ფილმი „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“;
23.05. „ლოს ანჯელესის კანონი“;
23.55. კურიერი;
00.10. ინგლისური მხატვრული ფილმი „პროსპეროს წიგნი“.

11.00. განვარჯიში;
11.30. მულტფილმები;
12.15. „პოსტ-ფაქტუმი“;
12.30. „ველური ბუნება“;
13.30. მხატვრული ფილმი „შეტბინას ღუმილი“;
15.00. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“;
15.45. გასართობი პროგრამა;
17.30. „პოსტ-ფაქტუმი“;
17.45. მუსიკა.

18.05. До шестнадцати и старше;
18.30. Вокруг света;
19.20 "ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬбА";
20.05. Погода;
20.10. Час-пик;
20.35. Джелтмен-шоу;
21.05. Моя семья: служебный роман;
21.45. Спокойной ночи малыши!;
22.00. Время;
22.40. Прогаммма передач;
22.45. Эксцентрическая комедия: „МИССИЯ В МОСКВЕ";
0.15. Магия: мир свехьестественного;
0.45. Волейбол. Чемпионат Европы;
1.30. „Виртуалъная реалность"

## 12 სექტემბერი პარასკევი

7.30. „ალიონი“;
9.00. „კასანდრა“;
18.00. „მოამბე-;
18.10. „ანიდან პოემდე“;
18.35. „პიგია“;
18.55. 50/50;
19.55. „ბასტი-ბუბუ“;
21.10. „ასპარეზი“;
21.20. „პრეს-სტუდია“;
22.00. „ვესტნიკი“;
22.20. „ვიდეოპატრული 02“;
23.30. „ლატარია ყველასათვის;
23.00. „ტელე-სინე-ვიდეო“;
23.40. ფრანგული ფილმი „განქითხვის დღე“;
24.00. „მოამბე“;
00.01. ფილმის გაგრძელება.

19.00. „ინფორმაცია II არხი“;
19.20. ზღაპრის ტელედარბაზი;
200.00. ბულარია;
20.30. „პერიოდის გზა“;
21.15. მეოთხე;
21.45. სარეკლამო ბლოკი და ინფორმაცია მეორე არხი“;
22.50. მხატვრული ფილმი „გურზუფელები“ პროგრამის დასასრულს – მუსიკა.

18.00. კურიერი;
18.15. „არ გეშინია სიბნელის“;
18.40. მანუნა;
19.15. დოკუმენტური სერიალი;
19.40. „სამხრეთისაკენ“;
20.35. VIDEO FASHION;
21.00. კურიერი;
21.30. რუსული ფილმი „სევდიანი სამოთხე“;
22.50. „ლოს-ანჯელესის კანონი“;
23.40. კურიერი, ღამის არხი;
23.55. „სიმპსონები;
00.20. „ემოციები“;
00.55. ამერკული ფილმი „ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ“;
03.10. „ინტიმური ფანტაზიები.

11.00. განვარჯიში;
11.30. მულტფილმები;
12.15. „პოსტ-ფაქტუმი“;
12.30. „ველური ბუნება“;
13.35. ამერიკული ფილმი „ანაკონდა“;
15.40. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“;
16.10. მულტფილმები;
17.15. „პოსტ-ფაქტუმი;“
17.45. მუსიკა;
18.00. ღამის ეთერი
00.05. დოკ. ფილმი;
00.45. ამერიკული ფილმი „ანაკონდა“;
02.30. მუსიკა.

18.05. Музикалъная программа "50/50";
18.30. Вокруг света;
19.20. "ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬбА";
20.10. Погода
20.15. Человек и закон;
20.45. Детективный сериал „СТРОГО НА ЮГ";
0.30. Французский любовъ в триллере „ОНИ НЕ ЗАБЫВАЮТ НИКОГДА";
3.15. Пресс- экспресс.

## 13 სექტემბერი შაბათი

9.00. „ცხრიდან თორმეტამდე“;
12.00. „მოამბე“;
12.15. ანონსი;
12.20. „XXI“;
12.40. მულტფილმი;
13.05. ბეთჰოვენის V სიმფონია;
13.45. „კლუბი 700“;
14.15. „მესაკუთრე“;
14.30. ცეკვავს ანსამბლი „სიჭაბუკე“;
14.45. „რეტროსპექტივა“;
15.30. მღერის ნაირა გელაშვილი;
15.50. „კამერა ტონი“;
16.05. ამერიკული ფილმი „ქარბორბალა“;
18.00. „მოაომბე“;
18.10. ანონსი;
18.15. „საქართველო და გარესამყარო“;
18.15. „ამერ-იმერი“, გადაცემა II;
19.25. საქართველოს კონსტიტუცია;
19.55. რეკლამა;
20.00. „მოამბე“;
20.30. რეკლამა;
20.35. „ვიდეოპატრული 02“;“
20.45. „ბასტი-ბუბუ“;
21.05. სტუდია „მაესტრო“;
22.25. „ილუზიონი“ იტალიური ფილმი „ღმერთთა სახელი“;
23.50. „მოამბე“;
24.30. ფილმის გაგრძელება.

9.00. პროგრამა „დილა“ ამერიკული ფილმი „სახენაიარევო“;
19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“;
19.20. საბავშვო გადაცემა „ჩიპო“;
19.45. ერალაში;
19.55. ველური სამყარო;
20.10. სკოლა;
20.35. ჯაზ-სპირიტი;
21.00. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“;
21.25. მხატვრული ფილმი „მოლ ფლენდერსი“ დასასრულს კონცერტი.

18.00. კურიერი;
18.15. მულტფილმი;
18.30. „გზა ვიქტორიისაკენ“;
19.20. „ადამსების ოჯახი“;
19.50. ტელესერიალი MESH ;
20.30. BOX OFFIC AMERICA;
21.00. კურიერი;
21.30. „საიდუმლო მასალები“;
22.15. „ფსიქო“. იტალიური ფილმი „დიდი და პატარა ჩიტები“;
01.15. კურიერი;
01.35. ინტიმური ფატაზიები;
01.55. ამერიკული ფილმი „რომაული არდადეგები“.

12.00. მულტფილმები;
12.40. დოკუმენტური ფილმი „რვაკუთხედი“;
13.30. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი“;
17.00. ინდური ფილმი „ზარმაცი“;
16.20. სპორტული პროგრამა „ვარსკვლავები“;
16.50. შოუ პროგრამა „ჯაზ-პარნასი“;
17.30. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი“;
17.50. მუსიკა, ღამის ეთერი;
00.054. დოკუმენტური ფილმი;
00.45. ამერიკული ფილმი „ურანული კონა“.

17.55 Футбол;
19.50. Погода;
20.00. "СТРОГО НА ЮГ";
21.45. Спокойной ночи малыши;
22.00. Время;
22.50. Программа передач;
22.55 Филъм Р. Поланского „БАЛ ВАМПИРОВ";
2.45 Волейбол.

## 14 სექტემბერი კვირა

9.00. „ცხრიდან თორმეტამდე“;
12.00. „მოამბე“;
12.15. ანონსი;
12.20. „სპა“;
12.50. „რეიტინგი“;
13.00. მულტფილმი;
13.25. ჩვენი სტუმარია – იმერი კავსაძე;
14.00. „ტელე-სინე-ვიდეო“;
14.40. „პერი“;
15.00. ამერიკლი ფილმი „სამი სურვილი“;
16.50. საბავშვო სტუდია გთავაზობთ;
17.50. სპორტლოტო;
18.00. „მოამბე“;
18.10. „მოზაიკა“;
18.50. „აფხაზეთის ტელევიზია“;
19.50. „ო, ენავ ჩვენო, ღედაო ენავ“;
19.45. „ენერგია“;
20.00. „ამერ-იმერი“;
20.15. ინტელექტკლუბი;
21.00. „მსგეფსი“;
21.45. „ვიდეოპატრული 02“;
21.55. „აუდიტორია“ – მედეა ჩახავა;
22.30. ერთი საღამო რუსთავში;
22.30. ამერიკული ფილმი „განწირულნი“;
23.50. „მოამბე“;
24.00. ფილმის გაგრძელება.

9.00. პროგრამა „დილა“ ამერიკული ფილმი „სახენაიარევო“ 2-ე სერია;
19.00. „ტაიმ-აუტი“;
19.30. მულტფილმები გრაცია-აეორობიკა;
20.00. პოპულა;
20.25. სუპერმატჩი;
21.00. ეკრანი;
21.15. მისია;
21.30. „ვარსკვლავები გვამცნობენ“;
21.55. „ტაიმ-აუტი“;
22.15. რეკლამა;
22.30. ფრანგული ფილმი „გამოუსწორებელი“.

18.00. კურიერი;
18.15. მულფილმი;
18.30. „გზა ვიქტორიისაკენ“;
19.20. „მონტი პაიტონი“;
20.00. ტელესერიალი MASN;
20.30. BE BEATIFUL;
21.00. კვირა საინფორმაციო ანალიტიკური გამოშვება;
21.45. „საიდუმლო მასალები“ – სერიალი;
22.35. რეტრომუსიკა;
22.55. მხატვრული ფილმი „პრასოლის მსაჯული შინოვს“;
00.25. კურიერი;
00.40. „სიმპსონები“;
01.05. „ემოციები“;
01.40. ამერიკული ფილმი „მეხუთე ელემენტი“;
03.45. ინტიმური ფანტაზიები.

12.00. მულტფილმები;
12.40. დოკუმენტური ფილმი „რვაკუთხედი“;
13.30. ფრანგული ფილმი „შაკალ“;
15.35. გადაცემა სტუმრები სტუმრებთან;
16.00. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“;
16.30. „ჯაზ-პარნასი“;
17.15. მულფილმები;
18.00. მუსიკა ღამის ეთერი;
00.05. დოკუმენტური ფილმი „სასამართლო პროცესები და დანაშაულობანი“;
00.45. მხატვრული ფილმი „მოთვალთვალე“;
02.20. მუსიკა.

18.15. „Один на Один";
18.45. Футбольное обозрение;
19.15. Погода;
19.20. „Вам песней поклонюсъ" Иосиф Кобзон;
20.00. „СТРОГО НА ЮГ";
21.50. Киноафиша;
22.00. Время;
22.40. КВН-97;
0.45. Волейбол;
1.30. Новости
1.40 худ.филъм




*პარასკევს ლოზანაში გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია, სადაც მოეწყო ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის არჩევნები. სოკ-ის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩს კვლავ გაუგრძელეს უფლებამოსილება.*

*აქვე სოკ-ის უმაღლესი ჯილდოები და ორდენები გადაეცა რამდენიმე პიროვნებას, მათ შორის, საქართველოს ეოკ-ის პირველ პრეზიდენტს, ახლა კი ვიცე-პრეზიდენტს, ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს.*

*სესიაზე მოეწყო 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქების არჩევნები.*



# ათენს ოცნება აუსრულდა რვა წლის დაგვიანებით

ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა ნებისმიერი ქვეყნისათვის დიდი პატივია. გარდა იმისა, რომ ოლიმპიადა სპორტისა და ხელოვნების ერთ-ერთი გრანდიოზული ზეიმია, მას მასპინძელი ქვეყნისთვის მილიონობით დოლარის მოგებაც მოაქვს.

ოლიმპიური თამაშები მასპინძელი ქალაქისათვის არის აგრეთვე გიგანტური ნახტომი მისი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამიტომ თანამედროვე ოლიმპიური თამაშების დაბადებიდან დღემდე მისი მასპინძლობის სურვილი მრავალ ქვეყანას, უფრო სწორედ ქალაქს გულში აქვს ამოჭრილი. ამის პატივი კი ღირსეულთა ხვედრია.

ასეთ ღირსეულს კი ავლენს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საგანგებო კომისია, რომელიც გულდასმით სწავლობს ყველა კანდიდატი ქალაქის შესაძლებლობებს. ახლაც ასე იყო, როცა 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქს ირჩევდნენ. დასკვნით ეტაპზე შემორჩა ხუთი ქალაქი ესენი იყვნენ: ათენი, ბუენოს-აირესი, კეიპტაუნი, რომი და სტოკჰოლმი.

პარასკევს ლოზანაში ხუთივე ქალაქის წარმომადგენლები სულმოუთქმელად ელოდნენ ვერდიქტს. და აი, სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე დაასახელა ეს ბედნიერი ქალაქი, რომელიც 2004 წლის თამაშებს უმასპინძლებს – ათენი!

არადა, ათენს ოლიმპიადისათვის ჯერ კიდევ შარშან უნდა ემასპინძლა შეგახსენებთ, რომ თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები ათენში 1896 წელს ჩატარდა. ლოგიკური იქნებოდა, რომ ბერძნებს 100-წლიანი ოლიმპიადისავის ემასპინძლათ, ისინი მზად არ იყვნენ ამისათვის.



იმის გამო, რომ 100-წლიური ოლიმპიური თამაშების პატივი ამერიკელებს დარჩათ, კერძოდ ატლანტას. ბერძნებმა გადაწყვიტეს თავისებური რიგგარეშე ოლიმპიადა ჩაეტარებინათ. ათენში, პანათინაიკოსის სტადიონზე, გასული წლის 6 აპრილს ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, რომლებიც I ოლიმპიურ თამაშებში გამოვიდნენ. (საბერძნეთი, ავსტრალია, აშშ, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, შვედეთი, ჩილე). ასპარეზობაში მონაწილეობა არ მიუღიათ სამ ქვეყანას (ბულგარეთს, ფინეთს, შვეიცარიას).

ამ ზაფხულს ანტიკურ ოლიმპიაში ახალგაზრდა ჟურნალისტა Iს სემინარზე მყოფი ჟურნალისტები ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა თავის შტაბბინაში მიგვიწვია. მაშინაც დარვწმუნდით, რომ ბერძნები თავიანთ დედაქალაქის გამარჯვებაში დარწმუნებულნი იყვნენ. მათ ისეთი თადარიგი ეჭირათ, თითქოს ოლიმპიადის მასპინძლობა განაღდებული ჰქონდათ.თუმცა, საამისოდ ყველაფერს აკეთებდნენ და ნემსის ყუნწში ძვრებოდნენ: მიმდინარეობდა და ეხლაც გრძელდება სამშენებლო თუ სარემონტო სამუშაოები, შენდება ბრწყინვალე სპორტული ბაზები, სასტუმროები, მეტროს სადგურები, აეროპორტი.... გაჰყავთ გზები, აწყობენ სკვერებს...

მოკლედ, მთელი ქვეყანა სამზადისშია. ათენელებმა, კენჭისყრის მეორე ტურში სხვა ოთხ ქალაქთან ერთად, რომ გავიდნენ, თხოვნით მიმართეს სპონსორობისათვის მთელი საბერძნეთის საზოგადოებას და საქმიან ხალხს.

ოღონდ ათენმა გაიმარჯვოსო და ბერძენმა მაგნატმა, დიდი სავაჭრო ფლოტის მეპატრონე იანის ლაცისიმ ქალაქს მხარდასაჭერად დაპირდა 1,8 მილიონი დოლარის გაღებას. მილიარდელი ლაცისი ამგვარად გახდა ათენში, ოლიმპიადის მერვე უმსხვილესი ინვესტორი.

ათენის შანსებზე ჩვენ ვბჭობდით. მრავლისმნახველი და გამოცდილი კოლეგების აზრით, ათენს და რომს გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვთო. პარასკევს საღამოს, როგორც უკვე ვიცით, სოკ-ის სესიაზე დასახელდა ხხVIII ოლიმპიადის მასპინძელი – ათენი.

რა თქმა უნდა, ბერძნელი მშენებლობის გარდა, უზარმაზარ საავიტციო – პროპაგანდისტულ საქმიანობასაც ეწეოდნენ. საამისოდ შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან. მათთვის ასეთი შემთხვევა იყო ჩვენი ამქრის წევრთა სემინარებიც.

საამისოდ მათ ხომ მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატიც გამოიყენეს. არც ათენის 2004 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს დაუკლია ჩვენთვის ყურადღება მათ თავიანთ შტაბ-ბინაში მიგვიპატიჟეს, რომლის ნაგეობას „ზაპიო“ ჰქვია. სწორედ ამ ნაგებობაში იყო 1896 წლის პირველი ოლიმპიური თამაშების სოფელი. იქვე ჩატარდა მოფარიკავეთა პირველი ასპარეზობაც.

და აჰა, 108 წლის მერე ათენი კვლავ მასპინძლობს თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებს.

# პირველი მოზარდები „მერსედესის“ და „ვილსონის“ ტურნირებში

ჩვენი მოზარდი ჩოგბურთელები მონაწილეობდნენ „ვილსონისა“ და „მერსედეს ბენცის“ საერთაშორისო ტურნირებში.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ 9-10, 11-12, 13-14, 15-16 და 17-18 წლის სპორტსმენები. ეს ტურნირები რომელიც გერმანიის ქალაქებში ბრეტენში, კარლსრუები, ფრაინბურგსა და ფრეიზენპეიმში გაიმართა, ქართველი ჩოგბურთელებისათვის საკმაოდ უხვმოსავლიანი გამოდგა. მათ ყულაბაშია ორი I და შვიდი II და რვა III ადგილი. ჩვენი ჩოგბურთელებიდან ყველაზე უკეთ იასპარეზა 9 წლის ანა მურღულიამ, რომელმაც „ვილსონის“ ორივე ტურნირი მოიგო ხოლო „მერსედეს ბენცის“ ასპარეზობაზე თითო – და II – ადგილი დაიკავა.

11-12 წლის მოზარდთა შორის მოასპარეზე ნანა უროტაძემ „მერსედესის“ ტურნირებზე მეორე და მესამე ადგილებზე გავიდა, „ვილსონისაზე“ კი ერთი მეორე ადგილი დაიკავა.

იმავე ასაკის ჩოგბურთელთა ასპარეზობაზე ვაჟებში ომარ მურღულიამ თითო II და III ადგილი მოიპოვა. მან ორივე წარმატებას „მერსდესისი“ ტრნირებზე მიაღწია, ხოლო დავით კერნაძემ „მერსდესის“ ტურნირზე ორი III, „ვილსონისაზე“ კი მეორე ადგილი დაიკავა.

სანდრო ქურიძე, რომელიც 13-14 წლის ჭაბუკებში „ვილსონისაზე“ გამოდიოდა, ერთი მესამე ადგილი დაიკავა.

15-16 წლის ბიჭებში მესამე იყო პრომეთე შევარდნაძე. ან ამ წარმატებას „მერსედესის“ ტურნიტზე მიაღწია.

გივი მიქელაძემ, 17-18 წლის ჩოგბურთელებში „მერსდესის“ ორივე ტურნირზე მესამე ადგილები დაიკავა.




სურათზე: (მარცხნივ) ანა მურღულია, (მარჯვნივ) ნანა უროტაძე.

# „მენჩურუა“ სახალხო ზეიმად იქცა

„მენჩურუა“ – წყალში ოთრაბრძოლა, უძველესი ქართული სპორტის სახეობაა, რომელიც ბოლო წლებში მივიწყებას მიეცა. ფიზკულტურისა და სპორტის ვეტერანმა მუშაკმა, სოფელ ზუბის ყოფილმა მეთოდისტმა ჯანიკო ბასილაძემ შესაშური ინიციატივა გამოიჩინა და ხალხური სპორტის ამ სახეობის აღორძინება გადაწყვიტა.

ბატონმა ჯანიკომ საფუძვლიანად შეისწავლა წყალში თამაშობების ტრადიციები, შეხვდა უხუცეს ადამიანებს, რელიგიის მსახურებს და დაწვრილებით აღწერა იგი. შეიქმნა ძალიან საინტერესო დოკუმენტი, რომლის ერთი პირი გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში ინახება. გაზეთი „ლელო“ და „საქართველოს რესპუბლიკა“ვრცლად გამოეხმაურნენ ამ კარგ თაოსნობას.

წელს, მარიამობის დღეს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში ნაცხა ხიდის ქვეშ მოხერხებულ მორევში ჩატარდა რაიონის პირველი ოფიციალური ჩემპიონატი „მენჩურუაში“. სიმართლე ვთქვათ, მისი ორგანიზატორები არც ელოდნენ დიდ გამოხმაურებას, თუმცა თავად ჯანიკო ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მონაწილეთა მსურველი ბევრი იქნებოდა, ასეც მოხდა. შეჯიბრებაზე მარტო მუხურელები როდი გამოვიდნენ, აქ იყვნენ მეზობელი სოფლებიდან, წალენჯიხიდან სხვა ქალაქებიდან სტუმრები. ნაცხა ხიდის მოაჯრი, მაყურებელს ვერ იტევდა. გაღმა-გამოღმა ნაპირებზე ნემსიც კი არ ჩავარდებოდა. განსაკუთრებით ხანდაზმულებს უხაროდათ მათი ბავშვობის დროინდელი თამაშობის გახსენება, იგონებდნენ „მენჩურუას“ ოსტატებს, ფალავნებს, კონკრეტულ ფაქტებს, 19 იანვარს ნათლისღების დღესასწაულზე მდინარიდან მღვდლის მიერ ჯვარის ჩაგდების და ამოღების საინტერესო დეტალებს.

თავიდან ოცდაათმა პიროვნებამ გამოთქვა მონაწილეობის სურვილი რომელიც სამ წონით კატეგორიად დაიყო. შემდგომ მათი რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა, მაგრამ შეჯიბრება უკვე დაწყებული იყო. აზარტში შესული ახალგაზრდები შეჯიბრების გაგრძელებას ან თავიდან დაწყებას მოითხოვდნენ.

45-46 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი 12 წლის ნიკა კვარაცხელიამ მოიპოვა, 60-80 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბესო თოლორდავა გახდა რაიონის ჩემპიონი. ხოლო 80-100 კილოგრამ წონაში ხვიჩა ჩიქოვანი იყო უძლიერესი. საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ვეტერანები ხუტუშა ჩარკვიანი, ბაკურ გახარია, ბორის თოდუა და სხვები.

ამ დღეს მუხურელებმა წყალში თამაშობის სხვა ტრადიციებიც გაიხსენეს. განსაკუთრებით დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა ხიდიდან ხტომა, განსაკუთრებით თავით გადაშვება. ბევრმა მუხურელმა გამოიჩინა თავი, მაგრამ 65 წლის პელიმ გახარიას ხტომამ ყველა აღტაცებაში მოიყვანა. გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და სიგელები. ხოლო ჯანიკო ბასილაძეს გადაეცა გაზეთ „ლელოს“ პრიზი.

შეჯიბრების ოფიციალური მხარე დამთავრდა, მაგრამ ახალგაზრდები გვიანობამდე ეთრობოდნენ „მენჩურუათი“.

გადაწყდა ყოველი წლის მარიამობის დღეს ჩატარდეს შეჯიბრება ხალხური სპორის ამ სახეობაში, რომელშიც სასურველია მონაწილეობა მიიღოს რაიონის სოფლების წარმომადგენლმა. სპორტისა და ტურიზმის განყოფილებამ, რომელიც ამ ღონისძიების ორგანიზატორი იყო მიზანშეწონილად ჩათვალა სამხარეო სპორტული ხელმძღვანელობას ოფიციალურად აცნობოს შეჯიბრების დრო და ადგილი. შეჯიბრების დებულება და სხვ.

„მენჩურუა“ სახალხო ზეიმად იქცა. ამ შესაშურ ღონისძიებას ესწრებოდა ჩხოროწყუს რაიონის გამგებელი ზურაბ ხუნტუა.

**ნუგზარ ჟვანია**

# ქართული თამაშობანი

საქართველოში ოდითგანვე იმართებოდა დიდი ასპარეზობანი. განსაკუთრებით პოპულარული იყო ყაბახი, ცხენბურთი, ისინდი, ჭიდაობა, ლელო....

ჩვენს თაობამდე რომ ამ ეროვნულმა სახეობებმა მოაღწია, ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“, რომლის არსებობა სხვა მრავალთან ერთად, ბოლო წლების კატაკლიზმებს შეეწირა.

ამ ზამთარს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში გაიმართა საქართველოს სოფლად სპორტის აღორძინების ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია, რომლის მოთავეც ბაკურ გულუა გახლდათ. მას, როგორც მინისტრს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის წინსვლასთან ერთად სოფლად სპორტის აღორძინების მეთაურობაც მიანდეს, როცა ამ ასოციაციის საჭე ჩააბარეს.

ამ წამოწყებას ზოგი სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ ახლადშექმნილმა ასოციაციამ პირველი ნაბიჯები გადადგა ორგანიზაციულს პრაქტიკული საქმეებიც მოჰყვა. ახლახან ამ ასოციაციამ აბაშაში ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციასთან ერთად მოაწყო საქართველოს ჩემპიონატი ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში, რამდენიმე დღის მერე, გასულ კვირას, ამას მოჰყვა ჩვენი ქვეყნის ქართული ჭიდაობის ფედერაციასთან ერთად თბილისში გამართული საქართველოს პირველობა ამ სახეობაში.

აბაშაში მოასპარეზეთა პროგრამაში იყო: ისინდი, ცხენბურთი დოლდი და მარულა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა ასაკის სპორტსმენები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების წარმომადგენლები იყვნენ, კერძოდ: გალის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ფოთის და, რაღა თქმა უნდა, მასპინძელთა წარმომადგენლები. ასპარეზობდნენ, აგრეთვე, თბილისელი ცხენოსნებიც.



მასპინძლებმა მოასპარეზეებს დაახვედრეს განახლებული 1100-მეტრიანი სარბენი წრე და 500-ადგილიანი ტრიბუნა, მაგრამ შეჯიბრებამ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ ექვსჯერ მეტი კაცი მივიდა.

საერთო გუნდურ პირველობაში ყველას აჯობეს სენაკლებმა, რომლებმაც ყველაზე მეტად ისინდში იმარჯვეს, ცხენბურთში კი მესამენი იყვნენ. საერთო გუნდურ პირველობაში მეორე ადგილზე გასულიი ფოთელები ასევე მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ ცხენბურთსა და ისნდში. კომპლექსურ ჩათვლებში მესამე საფეხურზე მყოფი აბაშელები უძლიერესნი იყვნენ ცხენბურთში.

ცალკეულ სახეობებში (ისინდში) კიდევ ერთი საპრიზო ადგილის (III) მფლობელნი გახდნენ მარტვილელები.

პირად პირველობაში 2-კილომეტრიან დოლში უძლიერესი იყო თბილისელი ჭაბუკი ირაკლი ბულისკერია, გალელი ცოტნე ლაბაშია მეორე პრიზიორი გახდა, ხოლო ფოთელი ვეტერანი ზაურ ტოტიკოევი მესამე ადგილზე გავიდა.

6-კილომეტრიან დოლში მარულაში ყველას აჯობა ასევე თბილისელმა როინ მარგიანმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ზაალ წოწორია (სენაკი) და მერაბ გახოკია (მარტვილი).

როგორც საქართველოს საცხენოსნო სპორტისა და თანამედროვე ხუთჭიდის ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ალექსანდრე დგებუაძემ გვითხრა, ცხენოსნობაში შეჯიბრება ჩვენს ქვეყანაში ექვსწლიანი იძულებითი პაუზის მერე გაიმართა. სხვა მიზეზებთან ერთად ასპარეზობის მოწყობას ხელს უშლიდა ცხენების სიმცირე, ახლა კი გამოსავალი იმითაც გამოინახა, რომ შეჯიბრების ბევრი მონაწილე სარბიელზე საკუთარი ბედაურით გამოვიდა.

* * *

ქართულ ჭიდაობაში მოასპარეზეთ თბილისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. იგი ჩატარდა დევიზით „ჩვენ ვეძებთ ფალავნებს“. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სოფლის გუნდები. საუკეთესო გუნდის სახელი მოიპოვა მცხეთის რაიონის სოფელ ძალისის გუნდმა, რომელმაც ფინალში ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურის ნაკრებს სძლია 9:3.

შეჯიბრებამ გამოავლინა უძლიერესი მოჭიდავენი. ესენი არიან: ოსიაურელები – გიორგი ნოზაძე და ალექსი მაღალთაძე, ძალისელები – ვალერი თაყაიშვილი და ნიკა წამალაშვილი, გიორგიწმინდელი (საგარეჯო) გიორგი ჭიაბრიშვილი.

როგორც გვითხრეს, მომავალში ანალოგიური ასპარეზობა გაიმართება დასავლეთ საქართველოს ფალავნებისათვის.

**გვერდი მოამზადა გია გურასაშვილმა**

**ომარ ჭაჭიაშვილის ხსოვნას**



როგორ გავძლოთ უშენოდ. რატომ წახვედი ჩვენგან. შენ ხომ სიცოცხლე გწყუროდა, გიხაროდა. ჩვენთვის უშენოდ მზე აღარ მზეობს, უშენოდ მომავალი ვერც წამოგვიდგენია.

გეთხოვებით, ნათელში ყოფილიყავ იმ ქვეყნად...
გეთხოვებით: ბორია, ედუარდი, სოსო, ვენერა, ზია, ზაზა, მეგი, მარი.

## „სქესთა ქიმიის“ ეშმაკობები

ქალები და მამაკაცები რომ ნამდვილად სხვადასხვა მასალისაგან არიან დამზადებულნი, ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ამერიკის მაგკილის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა. მათ სულ ახლახან ჩაატარეს ცდა, რომელშიც რვა აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცი და ამდენივე და ასეთივე ქალი მონაწილეობდა. შედეგად კი ის გაირკვა, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენელთა თავის ტვინი ბევრად უფრო (კერძოდ, 52 პროცენტით) მეტ სეროტინინს აწარმოებს, ვიდრე სუსტი სქესის წარმომადგენლებისა. სეროტინინი კი, თურმე, ის ნივთიერება გახლავთ, რომელიც ემოციების და, საერთოდ, ადამიანის გაწონასწორებულობის კონტროლს უწყობს ხელს. აი, რატომაა, რომ ქალები, როგორც წესი, ბევრად უფრო გულსუსტნი და ემოციურები არიან. – ასკვნიან მეცნიერები.

## ბაბუა ალის დღეგრძელობის „საიდუმლო“

ლივანის სამხრეთში ცხოვრობს კაცი, რომელსაც სინამდვილეში ალი მუჰამედ ჰუსეინი ჰქვია, მაგრამ აგერ უკვე 50 წელია, რაც ყველა ალი ზოლას ეძახის, რაც არაბულად „ძალიან ძლიერ ადამიანს“ ნიშნავს. ასეცაა: ალი 135(?!) წლისაა და, როგორც იტყვიან, ჯერ ფრჩხილიც კი არ წამოსტკივებია. ოღონდ, ბოლო ხანებში, ცოტა არითმეტიკაში მოიკოჭლა: თავისი მრავალრიცხოვანი შთამომავლების ჩამოთვლისას 93-მდე რომ ადის, მერე სათვალავი ერევა...

როცა ასეთი ხანდაზმული ადამიანის ამბავს გაიგებს კაცი, ცხადია, უთუოდ დაინტერესდება, თუ როგორ გაიხანგრძლივა სიცოცხლე, რას ჭამდა თუ სვამდა?

– ახალგაზრდობაში, – სიამოვნებით ამხელს თავისი დღეგრძელობის „საიდუმლოს“ ბაბუა ალი, – ქალების დიდი მუსუსი გახლდით და ბევრი სხვა ცუდი თვისებაც მქონდა. მაგრამ დღემდე მხოლოდ ერთი შემომრჩა: ძველებურად „ორთქლმავალივით“ ვეწევი.

რაც შეეხება კვებას, თურმე, დღეგრძელი ალი მთელი ცხოვრება მხოლოდ ნატურალურ პროდუქტებს – ხილსა და ბოსტნეულს მიირთმევდა.

## მადლი ჰქენი და...

საკუთარი საქმეების მოსაგვარებლად სტოკჰოლმში ჩასულმა ესპანელმა ბიზნესმენმა ედუარდო სიერამ ერთ-ერთ ადგილობრივ კათოლიკურ ეკლესიაშიც შეიარა. ტაძარში, რომელიც იმ მომენტისათვის ცარიელი აღმოჩნდა, იდგა კუბო, რომელშიც ვინმე იენს სენსონი ესვენა. სიერამ სანთელი დაანთო, გულმოდგინედ ილოცა, ახალგარდაცვლილი სენსონის სულიც შეავედრა ღმერთს და არც იქვე, კუბოსთან, დადებულ სულისმოსახსენებელ ლოცვათა წიგნში დაიზარა საკუთარი გვარისა და სახელის ჩაწერა.

გამოხდა ხანი და ედუარდო რიერამ შეიტყო, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი ქონების ერთადერთი მემკვიდრე გამხდარიყო! სწორედ ის ენს სენსონი, ვისაც სრულიად შემთხვევით დაუნთო სანთელი ბიზნესმენმა, ფრიად შეძლებული, მაგრამ უშვილძირო და უნათესაო ყოფილა და ამიტომ თავისი ქონება უანდერძია „ნებისმიერი ადამიანისათვის, ვინც კი მისი სულის სახსენებლად ლოცვას ალაპარაკდა“. ასე აღმოჩნდა სიერა მისი ერთადერთი მემკვიდრე.

## მინსკი კინაღამ კალიუმის ციანიდში „ჩაიძირა“

ბელორუსიის დედაქალაქის სამართალდამცავებმა ერთ-ერთ მოქალაქეს 750 გრამი კალიუმის ციანიდი აღმოუჩინეს. რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სპეციალისტების განმარტებით, შხამის ეს რაოდენობა სრულიად საკმარისი იქნებოდა მინსკის მთელი მოსახლეობის – თითქმის მილიონნახევარი ადამიანის – იმქვეყნად გასასტუმრებლად. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ სასიკვდილო ფხვნილს მცირე პარტიებად უპირებდნენ გაყიდვას, ანდა, სინთეზის გზით, მისგან სულაც სხვა ქიმიური ნივთიერებები უნდა მიეღოთ.



ერთხელ, ბებიაჩემს ჩემმა ქმარმა – თენგომ (ახალი სიძე იყო) საიდანღაც ციკანი მოუყვანა და აჩუქა. ბებიას მაშინვე გული შეუყვარდა ამ პატარა ლამაზ არსებაზე და დღის ამბით ზრდიდა. ყარამანა დავარქვით. ... თავნება რამე იყო ყარამანა. დაუპატიჟებლად ... მოგალდებოდა თავს, სად შეკლოფდა ცხვირს, აზრზე ვერ მოხვიდოდი.

გავიდა ერთ-ორი კვირა და მე ... მრეთ ბებიას სოფელში. რასაკვირველია, გაუხარდა ჩვენი ჩასვლა, ეზოში დაკლა ქათამი, დაიცხო მჭადები, ყველი დაჭრა, მეზობლის ბიჭი – მერაბაც შემოგვიერთდა, თენგომ მარნიდან დოქით ღვინო გამოიტანა და კარგად „ჩავსხედით“. ბებიაჩემი შინ შევიდა და იქ ფუსფუსებდა. ვერც შევნიშნეთ, საიდან წამოგვეპარა ყარამანა, გაჰკრა უცბათ თავი და ღვინით სავსე დოქი გადაგვიბრუნა. შეზარხოშებულებმა, გადავწყვიტეთ, დავუქსაჯა ხელიდან თხა, დავიჭირეთ და ძალიანად ვაყლაპეთ ღვინო, მოკლედ, გამოვათვრეთ. წავიდა ბარცალ-ბარცალით და ზედ სახლის კარებთან გაიშოტა. გამოვიდა ბებიაჩემი და წაქცეული ყარამა-

# როგორ გამოვათვრეთ ყარამანა



ნა რომ დაინახა, ერთი იმისთანა შეჰკივლა, გვეგონა, ცა ჩამოიქცაო:

„უი, დედა, ბოშო, რა მოსვლია ამ ბალანას! მიშველეთ, ციკანი მიკვდება!“.

მივცვივდით, მაგრამ შიშით ჩვენს „ვაჟკაცობას“ როგორ გავამხელდით, ჩვენც ვაი-ვიში ავტეხეთ.

– ქსენია, რა გაკვირვებს, შე კაი ქალო, ამნაირ დროს კი არ უნდა ლეიბნე, შველა უნდა ბალანას და ქე უნდა ვუშველოთ, – დაარიგა მერაბამ.

– თუ რამე შეგიძლია, აქანა ხარ და უშველე! – შეევედრა ბებიაჩემი.

– ვეტექიმ კლიმენტის დოუძახოთ, მე არ გამომყვება, ქსენია და შენი ხათრი ქე აქ.

გავარდა ბებიაჩემი შურდულივით. რამდენიმე წუთში კეტმომარჯვებულ ბებიას წინ კლიმენტი მოუძღოდა. აათვალ-ჩაათვალიერა ყარამანა და:

– მთვრალია ზომაზე მეტი დოულევია, – დაუსვა ზუსტი დიაგნოზი იმ შეჩვეჩებულმა.

– მთვრალი შენ ხარ, შე გაჭირვებულო, თუ რავაა შენი საქმე? – გალაირია ბებიაჩემი, – რასაა, რომ ჩმახავ, ყარამანა არ სვამს!

– „ტრეზვენიკია“, – დაუდასტურა მერაბამ.

– ბე-ე, – წამოიკიკინა ყარამანამ და გამოპენტერებული თავი წამოსწია.

– ბოლო სადღეგრძელო თუ აქ დახალევი, – დაასკვნა მერაბამ.

– რა ქქნა, ახლა, კლიმენტიე, მიშველე შე კაცო, – შეევედრა ბებიაჩემი.

– ქალო, არ გჯერა და გეუბნები, მთვრალია. აცალე, გამოფხიზლდება, „პახმელიაზე“ გამოვა და ჩიტივით წამოფრინდება.

ბებიაჩემმა ეჭვის თვალით გადმოგვხედა... შეკავებული სიცილისგან ჩვენი დაღმეჭილი სახეები რომ დაინახა, რაღაცას მიხვდა. ყარამანამ ისევ წამოიკიკინა. ბებიაჩემი დაიხარა და ღვინის სუნი ეცა.

– მეტონი მართალს ამბობ, შენ, კლიმენტიე და გამასწარით ახლა! – იკივლა ბებიაჩემმა და კეტს დასწვდა... კიდევ კარგი, ვიმარჯვეთ და გავიქეცით, წინ მე მივრბოდი, ბოლოს თენგო, ჰოდა, კიდეც მოხვდა კანჭებში.

სანამ ყარამანა არ გამოფხიზლდა და ფეხზე არ წამოდგა, ეზოს სიახლოვესაც ვერ გავიჭაჭანეთ. მერეც კაი ხანს გვემდურებოდა ბებია.

მაია მუხრანელი

## ტესტი ქალებისათვის



*სილამაზით ადამიანების მოხიბვლა ადვილია. ბევრად უფრო ძნელია საკუთარ გარეგნობაში რაღაც განსაკუთრებული, მხოლოდ თქვენთვის ჩვეული ხიბლის აღმოჩენა და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, გამოყენება. რამდენად ფლობთ სხვათა მოხიბვლის ხელოვნებას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში გერმანელი ფსიქოლოგების მიერ შედგენილი ტესტი დაგეხმარებათ.*

### *პროფესია:*
# *მომხიბვლელი ქალი*

### ორშაბათი მძიმე დღეა — გაიღიმეთ!

*1. ყოველთვის აღწევთ სასურველს?*
დიახ – 6 ქულა; არა – 1 ქულა.

*2. ყოველთვის გაძლევს საკუთარი ხასიათი იმის საშუალებას, რომ თავი მოხერხებულად და მყუდროდ იგრძნოთ?*
დიახ – 5 ქულა; არა – 2 ქულა.

*3. ფლირტი თუ გიყვართ?*
დიახ – 5 ქულა; არა – 1.

*4. ყოველთვის სწრაფად ახერხებთ მამაკაცში საფრთხის ამოცნობას?*
დიახ – 1 ქულა; არა – 4 ქულა.

*5. გსიამოვნებთ აბაზანის მიღება?*
დიახ – 5 ქულა; არა – 1 ქულა.

*6. ბავშვობაში თანატოლებთან უფროსობა თუ გიყვარდათ?*
დიახ 5 ქულა; არა – 1 ქულა.

შედეგები

14 ქულამდე: მოხიბლვის ხელოვნება ყოველთვის ფანტაზიისა და წარმოსახვის თამაშია. თქვენ არც ერთი გაგაჩნიათ და არც მეორე. პატიოსანი და მართალი ადამიანი ხართ და ილუზიებით არ იკვებებით. შინაგანი ფასეულობები კი იმდენად ღრმად გაქვთ სულში ჩამარხული, რომ უცხო ადამიანი იქამდე ვერასოდეს ჩააღწევს.

15-23 ქულა: თუ ხაისათზე ხართ, ნებისმიერ ადამიანს დაახვევთ თავბრუს.

24 და მეტი ქულა: სხვების თითზე დახვევა თქვენთვის სრულიად ნორმალური და ბუნებრივი საქმეა. ოღონდ ნუ გადაამლაშებთ, რადგან თქვენი საქციელით, შეიძლება, ვინმეს სერიოზული ტვიკილიც მიაყენოთ.



თარაზულად: 5. ქუჩაში ჩახერგილი დიდი საგნებით შექმნილი დაბრკოლება ბრძოლის საწარმოებლად; 7. რასობრივი და ეროვნული მოტივებით მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების გაჟლეტა; 9. ხელოვნების რომელიმე დარგის მიღწევათა ჩვენება, დათვალიერება; 10. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის სახელი მექსიკურ ტელესერიალში „ველური გული“; 12. ლირიკული პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 14. სალებავების შესაზავებელი თხელი ფიცარი; 16. შეხედულება, თვალსაზრისი, რომელითაც განიხილავენ საგნებს, მოვლენებს და სხვ.; 17. დაწესებულების შიკრიკი: 18. დიპლომატიური წარმომადგენელი; 19. დარტყმა (ჩოგბურთში, ფრენბურთში და სხვ.), რომლითაც მოთამაშეს ბურთი თამაშში შეჰყავს; 23. იაპონური დეკორატიული ხელოვნება – ყვავილებით, ფოთლებით, ტოტებით და მისთ. რაიმე გამოსახულების შექმნა; 24. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 27. ნადირობის მფარველი ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 29. იტალიური ხალხური სწრაფტემპიანი ცეკვა; 30. ოქრომჭედელი; 31. ვინმეს მოსაზრების, დასაბუთების წინააღმდეგ კამათში გამოსული პირი.

შვეულად: 1. მოღუნული ხელით გვერდიდან დარტყმა კრივში; 2. გრძელი და ვიწრო სპორტული ნავი; 3. რაიმე საკითხთან, საქმესთან დაკავშირებული ერთად შეკრებილი დოკუმენტები; 4. აზიის სახელმწიფო; 5. მეცნიერება, რომელიც ბიოლოგიურ სისტემებსა და პროცესებს საინჟინრო ამოცანათა გადასაწყვეტად სწავლობს. 6. ამხანაგობა. 7. ძველებური ფრანგული ცეკვა; 8. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 11. ქალაქი დიდ ბრიტანეთში; 13. ქართველი მოცეკვავე ქალი; 14. გამოგონებაზე გამომგონებლის განსაკუთრებული უფლების დამადასტურებელი მოწმობა; 15. პერსონაჟი ქალის სახელი ბრაზილიურ ტელესერიალში „ტროპიკელი ქალი“; 18. ხის ავეჯის მკეთებელი ხელოსანი; 20. ფეხბურთის (ან ჰოკეის) გუნდის თავდამსხმელი ხუთეულის წევრი; 21. უმაღლესი სასწავლებლის ფაკულტეტის ხელმძღვანელი; 22. ქალის მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი მექსიკურ ტელესერიალში „ველური როზა“; 25. გოგრისებრთა ოჯახის ბალჩეული მცენარე; 26. რგოლისებური მარჯნის კუნძული; 27. მოკლე სწორი ხმალი; 28. ფრანგი კინომსახიობი ქალი.

შეადგინა
ციალა ამაშუკელმა

გვერდი მოამზადა რუსუდან ლებანიძემ